# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 11 სექტემბერი, 2010 წელი.

№170 (6536)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## პრობლემა თქვენს ზანკებშია! ②

საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები დიმიტრი მედვედევს ღია წერილით მიმართავენ

## მაგრამ, ვაი რომ, ჩვენამდე წელგამართულნი არიან?!





## რისთვის დააკავეს „არას" ლიდერი? ⑮

## მოსკოვში აჭარელი „რემბო" მოკლეს ⑨

## მოსკოვი სამხრეთ ოსეთს წესრიგისკენ მოუწოდებს ⑥

## გთავაზობთ ინფორმაციებს მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ ⑦ ⑬

## 20 სექტემბერი დიდი პოლიტიკური ② პასუხისმგებლობის დღე იქნება

## ეს რა ჭირი გვჭირს?! ⑭





პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველოს" ლიდერი, პოლიტპატიმარი, აკადემიკოსი ③



## ვლადიმერ ვახანია



კონსტანტინე კუბლაშვილისგან პოლიტიკური ტყვეობიდან გათავისუფლებას მოითხოვს

**ძახილი**

**სააგენტო „პირველი“ გვაცნობს რუსეთის პრეზიდენტისადმი საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა წერილის სრულ ტექსტს:**

# პრობლემა თქვენს ტანკებშია!

## საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები დიმიტრი მედვედევს ღია წერილით მიმართავენ

„ბატონო პრეზიდენტო! მოგმართავთ „ქარტია 2010“-ის – საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა პოლიტიკური გაერთიანების სახელით. საქმე ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილ სიტუაციას. თქვენ არაერთხელ განაცხადეთ, რომ „საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში რუსულ-ქართული ურთიერთობები სრული მოცულობით აღდგება“. თქვენი სიტყვების დასამტკიცებლად მსგავსი მოსაზრება არაერთხელ გამოთქვა რუსეთის პრემიერ-მინისტრმაც და სხვადასხვა დონის რიგმა პოლიტიკოსებმა. ნება მოგვეცით, გკითხოთ: რას გულისხმობთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების სრული მოცულობით აღდგენაში?

დაგვეთანხმეთ, ბატონო პრეზიდენტო, ეს საკითხი პრინციპულად და ისტორიულად მნიშვნელოვანია. ეკონომიკურ თანამშრომლობას გულისხმობთ? ავიარეისების აღდგენას? რუსების სადღესასწაულო მაგიდაზე „ხვანჭკარას“ დაბრუნებას, თუ საქართველოს სრულ დეოკუპაციას და აფხაზეთის ტერიტორიიდან და ცხინვალის რეგიონიდან რუსეთის ჯარების გაყვანას? თქვენი ბატონ კოკოითთან და ბაღაფშთან ურთიერთობებისა და (მაშინაც კი, როდესაც რუსეთი ცეცხლის ალში იყო გახვეული) და საქართველოს ამ რეგიონებში სამხედრო პოტენციალის დაჩქარებულად განლაგების ფონზე საქართველოსთან ურთიერთობების სრული მოცულობით აღდგენის შესახებ საუბრისას თქვენ, ალბათ, რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის დაბრუნებას გულისხმობდით. აღვნიშნავთ, რომ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, არასაკმარისად ხართ ინფორმირებული იმის შესახებ, როგორი სიტუაციაა რეალურად საქართველოში. პირველ რიგში, საქართველოში არ არიან რუსეთზე ორიენტირებული ისეთი სერიოზული პოლიტიკური ძალები, რომლებიც არჩევნების გზით გამარჯვების მიღწევას შეძლებდნენ. მეორე და მთავარი: ქართველი ერი საკუთარ ძირძველ მიწაზე რუსულ ჩექმას არასოდეს შეეგუება! ქართველმა ხალხმა გააკეთა თავისი არჩევანი და არ შეცვლის მისწრაფებას, გახდეს სამუდამოდ თავისუფალი, დასავლური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი და უკან არ დაიხევს. ყველა ხიდი დამწვარია!

დროა, თქვენმა ქვეყანამ გაიგოს, რომ იქნება თუ არა მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი, ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, ხალხის უმრავლესობამ კი თავისი სათქმელი არჩევნებზე ორგზის თქვა: მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი მანდატის ამოწურვამდე იქნება!

2008 წლის აგვისტოში რუსეთმა საქართველოს ხელისუფლების სამხედრო ინტერვენციის გზით შეცვლა სცადა. დასავლეთი, რომელმაც საქართველოში შექმნილი რეალური სიტუაცია იცოდა, კრემლის შორსმიმავალ გეგმებს შეეწინააღმდეგა, თუმცა კრემლი საქართველოში ხელისუფლების შეცვლის აკვიატებულ იდეაზე უარს არც დღეს ამბობს. რუსეთმა საქართველოსა და მისი პრეზიდენტის წინააღმდეგ საინფორმაციო ომი გააჩაღა. ყოველდღიურად ათობით მასალა ჩნდება რუსულ პრესაში: ფაქტების გაყალბებით, მოსყიდვით და დეზინფორმაციით საქართველოს ხელისუფლებისთვის იმიჯის შელახვას ცდილობენ. ამის კიდევ ერთი გზაა რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების დახმარებით, განსაკუთრებით - მათი, ვინც კრემლთან არის დაახლოებული რამდენიმე ქართული ოპოზიციური „პოლიტიკური მოღვაწის„ დაფინანსება, რაც ნამდვილად არ უწყობს ხელს მათი საკმაოდ დაბალი რეიტინგის ზრდას.

გარწმუნებთ, ბატონო პრეზიდენტო, რომ რაც უფრო მეტ ულირს ფილმსა და გადაცემას გააკეთებენ თქვენი ქვეშევრდომები, რაც მეტად დააბინძურებენ თქვენი „სიმართლისმოყვარული„ ჟურნალისტები ინტერნეტ-საიტებს, მით უფრო შემჭიდროვდება ქართველი ერი და მით მეტ მხარდაჭერას მიაღწევს თავისუფალი მსოფლიოს მხრიდან.

ბატონო პრეზიდენტო, სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტ ჯაიკობ ზუმასთან შეხვედრის დროს ინტერვიუში თქვენ აგვისტოს ომზე თქვით: „პრესის გარეშე, ვიწრო წრეში, ჩვენი პარტნიორები აღიარებენ აგრესიის ფაქტსაც, ჩვენი ურთიერთობების სამართლიანობასაც, თუმცა რიგი მიზეზების გამო ამის შესახებ სახალხოდ არ საუბრობენო“. რა არის ეს „მიზეზი“, რომლის გამოც ძლიერი ქვეყნები, უფრო ზუსტად, მსოფლიო პოლიტიკური ელიტა იძულებულია, პატარა ქვეყანას „მსოფლიო დერჟავას“ წინააღმდეგ მხარი დაუჭიროს? - სააკაშვილის ეშინიათ?! და ამავდროულად არ ეშინიათ, რუსეთს „ოკუპანტი„ უწოდონ?! იმდენად ძლიერია სააკაშვილი, რომ მთელი დასავლეთი შეაშინა?! არ გეჩვენებათ, რომ დასავლეთი 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დაწყების მიზეზებზე მშვენივრად არის ინფორმირებული? დასავლელ პოლიტიკოსებს და სამხედრო ექსპერტებს კარგად ესმით, რომ ერთ ღამეს ისეთი ფართომასშტაბიანი სამხედრო გადაადგილების (მით უმეტეს, რუსული არმიისთვის) განხორციელება შეუძლებელია, როგორიც თქვენმა 58-ე არმიამ განახორციელა! ბოდიშს გიხდით, მაგრამ ნუ თვალთმაქცობთ, როდესაც ამბობთ, რომ 2008 წლის ომმა რუსეთის იმიჯი ოდნავაც არ დააზარალა და რომ „დასავლეთსა და რუსეთს შორის პარტნიორული ურთიერთობები ოდნავაც არ დაზარალებულა“. სწორედ „პოლიტიკური გვამი“, როგორც თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, არაერთხელ უწოდეთ საქართველოს პრეზიდენტს, სარგებლობს დემოკრატიული მსოფლიოს მზარდი მხარდაჭერით, „პოლიტიკური გვამის„ ხელის ჩამოსართმევად ჩავიდნენ საქართველოში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, საფრანგეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ბარონესა ქეტრინ ეშტონი და სხვადასხვა დონის დელეგაციები, რომელთა ჩამონათვალი ძალიან დიდია. არ მეტყველებს ეს ფაქტი დასავლეთის მიერ საქართველოსთვის აგვისტოს ომის შემდეგ აღმოჩენილ უპირობო პოლიტიკურ მხარდაჭერაზე? რუსეთ-საქართველოს ომმა დაარწმუნა მსოფლიო, რომ დღევანდელი რუსეთი „ბოროტების იმპერიის“ მემკვიდრეა, რომელსაც შეუძლია, საკუთარი დემორალიზებული, მშიერი, ნახევრადშიშველი, თუმცა უზარმაზარი საჯარისო დანაყოფები რიცხოვნობის თვალსაზრისით იმთავითვე სუსტ მეზობელთან გააგზავნოს, ახალ-ახალი მიწები მიითვისოს, იმის მიუხედავად, რომ პლანეტაზე ტერიტორიულად ყველაზე დიდი სახელმწიფოა! რუსული „არმიის“ სისასტიკის, მაროდიორობისა და ყოველგვარ ზღვარს გასულობის ამსახველი კადრები მთელმა



მსოფლიომ ნახა. აგვისტოს ომმა დიდი დარტყმა მიაყენა ასევე რუსულ დიპლომატიასაც - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით მან სრული ფიასკო განიცადა. ჩავესი, ჰამასი და ნაურუ – ისინი არიან რუსეთის თანამოაზრეები. როგორც რუსეთში ამბობენ, „за державу обидно“! რაც შეეხება „პარტნიორულ ურთიერთობებს“, რომელიც თქვენ ასე გახარებთ, ისინი გაზისა და ნავთობის ყიდვა-გაყიდვაზეა დამოკიდებული. ნუთუ რუსეთი - ნამდვილად დიდი კულტურული ტრადიციების, დიადი მწერლებისა და მოაზროვნეების სამშობლო, არ იმსახურებს დასავლეთთან გაცილებით ღრმა და ღირსეულ ურთიერთობებს?! სამწუხაროდ, რუსეთის დღევანდელი ურთიერთობა დასავლეთთან რუსული პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ანარქიული, იმპერიული აზროვნება განსაზღვრავს.

პოსტსაბჭოთა რუსეთს შეეძლო, სასურველი მოკავშირე ყოფილიყო მთელი ყოფილი სოციალისტური სივრცისთვის, რომ არა მის მიერ სახელმწიფო გადატრიალებებისა და ხელოვნური ეთნოკონფლიქტების პროვოცირება, არასასურველი პრეზიდენტებით მკვლელობები, ენერგოსისტემებით უსასრულო მანუპულაციები და ა.შ. - ნუთუ ეს ძლიერი მოკავშირის მოქმედების სტილია?! რუსეთმა ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა - შესაძლებელიც და შეუძლებელიც, რათა მისგან ყველა და ყველაფერი გაერიყა!

შეგახსენებთ, რომ 2004 წელს, როდესაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს, მისი პირველი ვიზიტი სწორედ რუსეთში შედგა, სადაც მაშინდელ პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაზე მან რუს კოლეგას ურთიერთობების „სუფთა ფურცლიდან„ დაწყება შესთავაზა. ამ მშვიდობიანი შეთავაზების საპასუხოდ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში სროლები და პროვოკაციები გახშირდა, საქართველოს ამ რეგიონებში სიტუაციამ პიკს მიაღწია და ომიც დაიწყო!

რაში ხედავთ ამ ყველაფრის მიზეზს, ბატონო პრეზიდენტო? თავად რუსეთმა არ უბიძგა საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზისკენ – ნატოსკენ? ნუთუ თავადაც გჯერათ რუსეთის ხელისუფლების პირველ პირთა არაერთგზის განცხადების, თითქოს „საქართველო, მისი გაუწონასწორებელი არსის გამო რუსეთისგან გარბის“?! მაშინ ნება გვიბოძეთ, გკითხოთ, ბატონო პრეზიდენტო, ვინ არ გარბის?! - მიმოიხედეთ ირგვლივ, დიმიტრი ანატოლევიჩ!... ნუ იოცნებებთ პრეზიდენტის შეცვლაზე! პრობლემა არა მიხეილ სააკაშვილშია, როგორც თქვენ გგონიათ, არამედ თქვენს ტანკებში ქართულ მიწაზე!

„მოქალაქეებო, მამული საფრთხეშია! ჩვენი ტანკები უცხო მიწაზეა“, – მღეროდა საბჭოთა პერიოდში ალექსანდრე გალიჩი. ასე რომ, გადაარჩინეთ სამშობლო, გადაარჩინეთ რუსეთი, ბატონო პრეზიდენტო! ხელისუფლება თქვენს ხელშია“, – ნათქვამია ღია წერილში, რომელსაც „ქარტია 2010„-ის გამგეობა (მედეა თუშმალიშვილი და რევაზ ბოჭორიშვილი (საფრანგეთი), დოდონა კიზირია და ირაკლი ხიზანიშვილი (აშშ), ვიქტორ დომუხოვსკი (პოლონეთი), რენო სირაძე (ფინეთი), მაია სიმონია (ჰოლანდია) აწერენ ხელს.

**ერთიანი პოზიცია**

# 20 სექტემბერი დიდი პოლიტიკური პასუხისმგებლობის დღე იქნება

**20 სექტემბერს იკრიბება კონფერენცია, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოში რეფერენდუმით პრეზიდენტის იმპიჩმენტის (უნდობლობის გამოცხადების) პროცესის დაწყების თაობაზე.**

**პრეზიდენტისათვის იმპიჩმენტის, ანუ უნდობლობის გამოცხადების საკითხი დროდადრო უაღრესად პრინციპულად დგებოდა ბოლო პერიოდის საქართველოში.**

„ლეიბორისტებმა“, „თეთრებმა“, „ალიანსი დემოკრატიული საქართველოსათვის“, ცალკეულმა დეპუტატებმა არაერთი ოფიციალური განცხადება გააკეთეს ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს საკითხი ორჯერ იქნა ინიცირებული საქართველოს პარლამენტში, ბოლოს დეპუტატ გია ცაგარეიშვილის მიერ პარტია „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ (ირაკლი ალასანია) სახელით. ცხადია, „ნაციონალურმა“ პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა.

დღემდე 30-მდე პოლიტიკურმა პარტიამ, 20-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ, 200-ზე მეტმა საზოგადო მოღვაწემ სხვადასხვა შეკრებებზე ღიად დაუჭირეს მხარი რეფერენდუმის გზით, ანუ ხალხის ნებით პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას.

**ინტერნეტ-გამოკითხვით, რესპონდენტთა 82%-მა, სატელეფონო ორი გამოკითხვით (თითოეულში შერჩევით 500-ზე მეტი გამოიკითხა) პირველად 75%-ზე მეტმა, მეორედ კი 80%-მდე და ქუჩაში გასაუბრებით თითქმის 85%-მა მხარი დაუჭირა პრეზიდენტისათვის უნდობლობის გამოცხადებას.**

გამოკითხულებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის განზოგადოებულ საფუძვლად მიაჩნიათ: ხელისუფლება, რომელიც ხალხმა აირჩია იმისთვის, რომ მას (ხალხს) ემსახუროს – ეს ხელისუფლება ძალის გამოყენებით ცდილობს, ხალხი აქციოს თავის მსახურად, თვითონ კი ემსახუროს საკუთარ წევრთა ოჯახებს, საკუთარი კლანის ინტერესებს, ნაციონალური პარტიის ლიდერებს. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით: „ნაციონალური“ მმართველობის დროს „მდიდარი კიდევ უფრო გამდიდრდა, ხოლო ღარიბი კიდევ უფრო გაღარიბდა, კრიზისი გაღრმავდა, მოსახლეობის სოციალური ყოფა გაუსაძლისი გახდა“.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის საორგანიზაციო ჯგუფმა დაასრულა კონსულტაციები ევროპელ ექსპერტებთან საქართველოში რეფერენდუმით პრეზიდენტის იმპიჩმენტის სამართლებრივი პრინციპების თაობაზე. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომლის დროსაც ქართველ ექსპერტთა მიერ შედგენილი დოკუმენტის ფუნდამენტური განხილვა და საერთო პოზიციების შემუშავება მოხდა.

პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადო მოღვაწეები, საორგანიზაციო ჯგუფის წევრები მაღალ შეფასებას აძლევენ ევროპელ ექსპერტებთან დათათბირებულ დასაბუთებას საქართველოში რეფერენდუმის გზით პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოწყობის თაობაზე ქართველ ექსპერტთა და პოლიტიკოსთა მიერ მომზადებულ პრეზიდენტის იმპიჩმენტის ტექსტს და ადასტურებენ თავიანთ პოზიტიურ დამოკიდებულებას როგორც დოკუმენტის შინაარსთან, ასევე დოკუმენტის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

**ევროპელ ექსპერტთა აზრით, ჩვენი კონსულტაციების საბოლოო დოკუმენტი არის პოლიტიკურ-სამართლებრივი დასაბუთება ხალხის ლეგიტიმური უფლებისა, უნდობლობა გამოუცხადოს უმაღლეს ხელისუფალს და იგი თანამდებობიდან გადააყენოს.** ისინი თვლიან, რომ ხალხის მიერ პრეზიდენტის გადაყენების უფლებამოსილების თავის თავზე აღება, ერთადერთი სწორი და მშვიდობიანი გამოსავალია შექმნილ ვითარებაში, როდესაც ამის მწვავე საჭიროების მიუხედავად (ხალხის დაჟინებითი მოთხოვნის მიუხედავად), ხელისუფლება უარზეა, თვითონ გადადგეს.

**ევროპელი ექსპერტები თვლიან, რომ ამ დოკუმენტის დანიშნულებაა, ერთი მხრივ, ნათელი გახადოს, რომ ხელისუფლების შეცვლა ხალხის, და მით უმეტეს, ცალკეული პოლიტიკური ძალების უპასუხისმგებლო ახირება კი არ არის, არამედ, ობიექტურად არსებული უკიდურესი აუცილებლობა და, ამასთანავე სავსებით გამართლებული, როგორც პოლიტიკურად, ასევე ზნეობრივად და სამართლებრივად. მეორე მხრივ, ეს არის ხალხის მიერ ცივილიზებული ფორმით საქვეყნო გამოხატვა და დადასტურება თავისი შეუვალი ნებისა, რომელიც ყველას - გარეშესა თუ შინაურს - „აიძულებს“, სათანადო პატივი მიაგონ და ანგარიში გაუწიონ ქართველ ხალხს, როგორც კულტუროსან ერს.**

იხ. 4 გვ.

## საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ კონსტანტინე კუბლაშვილს

ბატონო კონსტანტინე

საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2010 წლის 17 აგვისტოს მიღებული აქვს თქვენს სახელზე გაგზავნილი ჩემი განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს უკანონო განაჩენის გაუქმებაზე და გადაწყვეტილების მიღებაზე კანონით დადგენილი წესით ამა წლის 23 აგვისტომდე. ამ განცხადებაზე დღემდე პასუხი არ მიმიღია.

გაცნობებთ, რომ კანონის მიხედვით, საკასაციო განხილვის ვადა ამოწურულია, როგორც ამოწურულია პასუხის გაცემის 10-დღიანი ვადა. საქართველოს უზენაესი სასამართლო დაუფარავად არღვევს მოქმედ კანონმდებლობას და აშკარად არ ასრულებს თავის კონსტიტუციურ მოვალეობას.

გთხოვთ და მოვითხოვ, დაიცვათ კანონი, აღადგინოთ დანაშაულებრივად დარღვეული ჩემი სამოქალაქო უფლებები, გადაუდებლად მიიღოთ კანონიერი გადაწყვეტილება ჩემი განთავისუფლებისა პოლიტიკური ტყვეობიდან. გაგზავნილ განცხადებას შემოკლებით თან ვურთავ.

პოლიტიკურ პარტია „მთლიანი საქართველოს“ ლიდერი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, პოლიტპატიმარი,

ვლადიმერ ვახანია

09.09.2010წ.


საქართველოს უზენაესი სასამართლოს
მოქალაქეთა მისაღები
805-10 ფურცელთა რაოდენობა 5ფ+8ფ+3ფ
თარიღი 17.08.10 დრო 15 55
ხელმოწერა





# გამათავისუფლეთ პოლიტიკური ტყვეობიდან!

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს,**
**ბატონ კ. კუბლაშვილს**
**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას**
**ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული**
**სასამართლოს დიდ პალატას საქმეზე №40227/09**

**პოლიტპატიმარ (მსჯავრდებულ) ვლადიმერ ვახანიას**

### განცხადება

**საქმეზე №1/გ-944-2009წ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის განაჩენის გაუქმებაზე, საქმის შეწყვეტაზე და გადაწყვეტილების მიღებაზე 2010 წლის 20-22 აგვისტომდე.**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის განაჩენი არის აშკარა უკანონო, მიღებული მიკერძოებულად, პროკურატურის, ძალოვანი სტრუქტურების ზეწოლით და მთავრობის პოლიტიკური დაკვეთით.

განაჩენი გამოტანილია ყველა საპროცესო ფორმების და წესების უხეში დარღვევით, საბოლოოდ აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე, 563-ე, 564-ე მუხლებით, საქართველოს კონსტიტუციის და ევროპულ კონვენციის ნორმებით. საქმე ჩემს მიმართ არის სრულიად შეთითხნილი და ფალსიფიცირებული თავიდან ბოლომდე და ეს ყველაფერი დასტურდება მრავალი განცხადებებით, შუამდგომლობებით, საჩივრებით, კონსტიტუციური სარჩელებით და თვით საქმის მასალებით დაწყებული უკანონო დაკავებიდან.

გარდა ყველაფრისა, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის ბათილი, როგორც მიღებული კანონის დადგენილი წესის – განხილვის ვადის დარღვევით, გამომდინარე სსსკ-ის 216-ე, 528-ე მუხლებიდან. აქედან გამომდინარე, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საჩივრის განხილვის ვადა ეწურება 2010 წლის 20-22 აგვისტოს – ჩემი დარღვეული უფლების დროიდან, ე.ი. 2010 წლის 15 იანვრიდან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 216-ე და 528-ე მუხლების მოთხოვნები არის იმპერატიული და უალტერნატივო. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქმე მიიღო 2009 წლის 15 ნოემბერს და მას დაკისრებული ჰქონდა უფლება და ვალდებულება საქმე განეხილა და მიეღო სამართლებრივი გადაწყვეტილება არაუგვიანეს 3 თვისა – ე.ი. 2010 წლის 15 იანვრამდე. ეს კანონის მოთხოვნა და ჩემი გასაჩივრების უფლება კანონის დადგენილი წესით სსსკ-ის 21-ე მუხლის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია. ამავე დროს, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ (როგორც სამართალწარმოების ორგანოს) დარღვეული პროცესუალური (საპროცესო მოქმედების) ვადის არც აღდგენას და არც გაგრძელებას. გასაჩივრების უფლების დადგენილ წესს ერთმნიშვნელოვნად ასახავს ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლი, სადაც აღნიშნულია: **„ყოველ ადამიანს, რომელიც მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, უფლება აქვს, მისი განაჩენი ან სასჯელი გადაისინჯოს ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ. ამ უფლების განხორციელება საფუძვლის ჩათვლით, რომელიც ხდება, რეგულირდება კანონით“.** ამდენად, დაირღვა ჩემი უფლება, რომელიც რეგულირდება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით, სსსკ-ის 21-ე, 216-ე, 528-ე მუხლებით, რომელნიც შედეგად იწვევს განაჩენის გაუქმებას. კერძოდ, სსსკ-ის 21-ე მუხლი მიუთითებს, რომ **„ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს საჩივარი გამოიყენოს საჩივრის შემტანი პირის ან იმ პირის საზიანოდ, რომლის ინტერესების დასაცავად იგი იყო შეტანილი...“.** ცალსახად მტკიცდება ჩემი დარღვეული უფლება საქმის განხილვისა არაუგვიანეს 2010 წლის 15 იანვრისა და სახელდობრ, ამ თარიღიდან იწყება საკასაციო გასაჩივრების ვადა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა ბათილი, ძალადაკარგული და დამატებით, უკანონოდ მიღებული განაჩენი 2010 წლის 30 ივნისს. კანონი ასკვნის, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია დადგენილი წესით განხილვის ვადა – 5 თვით და 15 დღით, მიჰყავდა პროცესი (მიუხედავად დაცვის წინასწარ განცხადებისა) არასამართლებრივ სივრცეში. ყველა შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა მიეღო 2010 წლის 15 იანვრის ჩათვლით. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კანონის იმპერატიული მოთხოვნა, დადგენილი წესით საქმის განხილვა, და ამასთან ერთად დაარღვია ჩემი კანონით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე განსაზღვრული ევროკონვენციის მე-6 მუხლით. ამდენად, ჩემი დარღვეული უფლების ვადა განისაზღვრება და იწყება 2010 წლის 15 იანვრიდან.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულ დარღვევაზე დაცვის მხარემ არაერთხელ შეატყობინა უზენაეს სასამართლოს, მათ შორის, სადისციპლინო პალატას, რაზეც რეაგირება არ მომხდარა და ეს დასტურდება მიღებული პასუხითაც.

ჩემი საფუძვლიანი მოთხოვნა, ჩემი დარღვეული უფლებების აღდგენისა და საკასაციო გასაჩივრების ვადის დაწყება 2010 წლის 15 იანვრიდან გამომდინარეობს ასევე საქართველოს ორგანული კანონიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომლის (მე-2 მუხლი) თანახმად: **„საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო“.** ამავე კანონის მიხედვით: **„საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა ერთიანია“.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ზემდგომი სასამართლო ვალდებულია დაიცვას კანონით დადგენილი წესი და შეასწოროს ქვემდგომი სასამართლოს ნებისმიერი არაკანონიერი მოქმედება-გადაწყვეტილება, იხელმძღვანელოს და იმოქმედოს კანონით დადგენილის წესით, და უპირველესად ადამიანის (მსჯავრდებულის) დარღვეული უფლებების აღსადგენად. ეს მოთხოვნა პირდაპირ შეესაბამება მოყვანილი ორგანული კანონის მე-6 მუხლს და საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლს: **„თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე“**, როგორც ასევე ექვემდებარება უდანაშაულობის პრეზუმფციას (სსსკ-ის მე-10 მუხლი). საკასაციო სასამართლო ვალდებულია შეასწოროს (გააუქმოს) ქვემდგომი სასამართლოების კანონდარღვევითი გადაწყვეტილება ან მოქმედება და არა პირიქით – თვითონ დაარღვიოს, მით უმეტეს, როგორც საერთო სასამართლოების ერთიანი სისტემის უმაღლესი ნაწილი.

თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ დარღვეული ვადის მიხედვით, გამოდის, რომ სააპელაციო სასამართლოს შეეძლო საქმე კანონდარღვევით განეხილა 3 წლის შემდეგაც, როცა უკანონო პატიმრობის ვადა უკვე ამოწურული იქნებოდა. ეს კი სრულიად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის, ორგანული კანონის, საპროცესო კანონმდებლობის და ევროკონვენციის მოთხოვნებს, რადგან კანონი დაწესებულია, პირველ რიგში, ადამიანის (მსჯავრდებულის) დასაცავად და სასარგებლოდ. კანონით განსაზღვრული პროცესუალური ვადების დაცვა არის აუცილებელი, რათა დროულად მოხდეს ადამიანის დარღვეული უფლებების დაცვა-აღდგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის საკასაციო განხილვის პროცესუალური ვადა იწყება კანონით დადგენილი წესით სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური ვადის დამთავრებისთანავე – 2010 წლის 15 იანვრიდან, დამატებით 1 თვისა გასაჩივრების შემადგენლობით (5-7 დღე ფოსტით გადმოგზავნისა), ე.ი. 2010 წლის 20-22 თებერვლიდან, რითაც საკასაციო სასამართლოს განხილვის და გადაწყვეტილების მიღების 6-თვიანი ვადა ეწურება 2010 წლის 20-23 აგვისტოს. აღწერილ ვადამდე საკასაციო უზენაეს სასამართლომ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლო გააგრძელებს კანონის და ჩემი უფლებების დარღვევას - ჩემს უკანონო ყოფნას პატიმრობაში.

ამჟამად, ვხელმძღვანელობ რა ევროპის კონვენციის მე-5, მე-6, მე-7 ოქმის მე-2 მუხლების, საქართველოს კონსტიტუციის მე-18, მე-40, მე-42 მუხლების, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-2, მე-3, მე-4, მე-6, მე-7 მუხლების, საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2, მე-9, მე-10, 21-ე, 216-ე, 528-ე, 562-ე, 563-ე, 564-ე მუხლების სრული დაცული მოთხოვნებით

დასაბუთებულად გთხოვთ:

**1. გააუქმოთ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის განაჩენი, როგორც გამოტანილი აშკარა და უხეში კანონდარღვევით.**

**2. საკასაციო საჩივარი და საქმე განიხილოთ და მიიღოთ სამართლებრივი გადაწყვეტილება 2010 წლის 20-22 აგვისტომდე, დროულად აღადგინოთ ჩემი დარღვეული უფლებები.**

გამოიტანეთ კანონიერი გადაწყვეტილება – ჩემი განთავისუფლებისა ტყვეობიდან!

სამართლის დოქტორი, აკადემიკოსი,
პოლიტპატიმარი,

ვლადიმერ ვახანია.



რუსთავის №6 საპყრობილე

◉ არაჩასაფრებული, კეთილმოსურნე კაცის ფიქრები...

# მაგრამ, ვაი რომ, ჩვენამდე წელგამართულნი არიან?!

**აქა ამბავი ორი მთისა, აქეთური ბარაქიანობით პირზე ნერწყვმომდგარი დამშეული იქითურებისა და კუზიანის ჩვენთვის სამყოფი ტანმრთელობისა**

**ამთავითვე ორიოდ სიტყვა ამ წერილის სათაურ-ქვესათაურის განმარტებისთვის:**

**ერთი ძალიან ახლობელი ცოლ-ქმარი მყავდა, საოცრად კეთილშობილი და საყვარელი ადამიანები, ერთმანეთს შეხუმრებულნი.**

**ტანდაბალი ცოლი (ამ ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!) ზოგჯერ გაეხუმრებოდა ხოლმე სიმაღლე-სიახოვნის გამო წელში ოდნავ მოხრილ ქმარს, — შე კუზიანოო.**

**— შენამდე მაინც ხომ ვარ წელგამართულიო, — ღიმილით დაუბრუნებდა „ხურდას“ მეუღლე და განმკლავს გააკეთებდა,— გაძვერი ჩემი იღლიის ქვეშო.**

სწორედ ეს ამბავი გამახსენდა გუშინ საღამოს, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა წეროვნის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებულ ერთობლივ ქართულ-შვეიცარულ საწარმო „ბერტაში“ მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა და მისთვის ჩვეული „რეჩიც“ დაურტყა.

**„ამ მთის იქით,** — თქვა პრეზიდენტმა, **— შემომდგარნი არიან ოკუპანტები უზარმაზარი შესაძლებლობების მქონე ქვეყნიდან, მაგრამ ისეთივე მათხოვრულ და ჩამოძონძილ ცხოვრებას აგრძელებენ, როგორიც აქამდე ჰქონდათ. მათ პირველად დაინახეს და გაუკვირდათ, როგორ აშენდა აქ სახლები; შემდეგ დაინახეს დამუშავებული მიწები და ახლა ხედავენ, როგორ შენდება ამ მთაზე ამხელა საწარმო. რეალურად ეს არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიგნალი — ორი მთის ამბავი“.**

ვიდრე ამასთან დაკავშირებით, რამეს ვიტყოდე, უნდა ვთქვა, რომ ცხადია, ძალიან გამიხარდა ახალი საწარმოს მშენებლობა, რომელშიც ჩვენი გაუბედურებული დევნილებიც დასაქმდებიან და ლუკმა-პურის ფულსაც გამოიმუშავებენ. გამიხარდა იმის გაგებაც, რომ ლტოლვილთათვის მალე შეიძლება დამატებით კიდევ 400 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნას, რისი წყალობითაც წეროვნის დასახლებაში არ დარჩება ოჯახი, რომლის ერთი წევრი მაინც არ მუშაობდეს, მაგრამ...

**კი, ბატონო, რუსებმა ისეთი ცუ-**



**დი საქმე დაგვმართეს (თანაც განა მხოლოდ შარშანწინ!), ძაღლის ნაკბენივით ვერასოდეს დავივიწყებთ, მაგრამ, თუნდაც ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, იმ ფინიას ხომ არ ვგავართ, თავისთვის ნირშეუცვლელად მიმავალ ქარავანს რომ უყეფს და თავადვე ამაყობს ამით — ნახეთ, რა მაგარი და ყოჩაღი ვარო?**

შესაძლოა ამ შედარების გამო მავანი გამინაწყენ-გამიბრაზდეს კიდეც, ასეთი რამ როგორ შეგვკადრეო, მაგრამ შევახსენებ, რომ „ვარდოსანთა“ ერთ-ერთმა „უპირველესმა რეფორმატორმა“ კახა ლომაიამ სწორედ ასე ბრძანა ჩვენი დამსახურებული მეცნიერების, აკადემიკოსების მისამართით **— რამდენიც გნებავთ, იყეფეთ, ფინიებო, ქარავანი (იგულისხმება რეფორმა და რეფორმატორები) თავის გზას არ გადაუხვევსო!**

და, რაც მთავარია, კიდევ ერთი საკითხი: **იმ ჩვენი ასაკოვანი და თავიანთი შინაგანი კულტურის გამოც უნამუსობის წინააღმდეგ საკმაოდ უილაჯო პროფესორ-აკადემიკოსებისგან განსხვავებით, რომლებსაც, საპროტესტოდ განწყობილთ და დედაუნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში სამსჯელოდ შეკრებილთ, პატრულის დახმარებით, ძალიან იოლად ჩაურაზავ კარებს, უწყლოდ დატოვებ, ტუალეტშიც არ შეუშვებ, მერე სასამართლოს ხულიგნებად მოანათვლინებ და 100-100 ლარითაც დააჯარიმებ,** ის, „მათხოვრულად და ჩამოძონძილად“ მცხოვრები რუსები ცოტა მაინც არიან მოსაფრთხილებლები (განა იმას ვამბობ, ქედი მოვიხაროთ მათ წინაშე და ხმა არ ამოვიღოთ. პირიქით, მაგრამ მეტი დაფიქრება-სიფრთხილე გვმართებსძ!

იცით რატომ, ბატონო პრეზიდენტო და თქვენგვარად მოაზროვნენო?

**იმიტომ, რომ, დავუშვათ, კი ცხოვრობენ ისინი ცუდად, კი ჰყავთ მშიერ-გაძვალტყავებული და ჟანგიანი ტანკ-ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცები, მაგრამ ვითომ ჩვენ რომ გვეყოფა, იმდენი კარგად გაწვრთნილი და საუკეთესოდაც აღჭურვილი თუნდაც სპეცდანიშნულების რაზმები მაინც არ ეყოლებათ?**

**ანუ, წერილის დასაწყისში ნახსენები ცოლ-ქმრისა არ იყოს, ჩვენამდე მაინც არ არიან ვითომ წელგამართულნი?**

დროთა განმავლობაში კი შეიძლება ადამიანს სკლეროზი დაემართოს და ბევრი რამეც დაავიწყდეს, მაგრამ, **ჯერ რა დროს სკლეროზია, გურულებისა არ იყოს, აგერ გუშლამ არ იყო გორის ცაზე მქროლავი რუსების თვითმფრინავი, გორისავ მიწაზე მფორთხავი ჩვენი მთავარსარდალი და ოდნავ მოშორებით ფეხზე მდგომი და ყოველივე ამით გაკვირვებული ფრანგების საგარეო საქმეთა მინისტრი?**

ღმერთი, რჯული ამას ნიშნის მოგებით კი არა, ღრმა გულისტკივილით ვიხსენებ და ვამბობ, რადგან ჩემი პრეზიდენტი ჩემი საყვარელი ქვეყნის სახეა, რომელსაც არ მინდა, ვინმემ გაულაწუნოს.

თანაც, ვაითუ, ის შესაძლო გამლაწუნებელი ისეთი ვინმე გამოდგეს, „ნატვრის ხის“ ერთი პერსონაჟივით გამაფრთხილებელი შეყვირება მოგინდეს კაცს — „არ გაულაწუნო, მამაო, ხელს შემოგიბრუნებსო!“

**და კიდევ, ნოდარ დუმბაძის ერთი შესანიშნავი იუმორისტული მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმი ხომ გახსოვთ, რომელშიც ძაღლის უშიშარი კინოლოგი სასიძოს როლს ცხონებული ვახტანგ ნინუა თამაშობს, ბოლოს მის მიერ ლეკვად მოხსენიებულისგან დაკბენილ-დაფლეთილი რომ რჩება?**

**დათვი კი, რაგინდ დაუძლურებულიც იყოს, ძაღლზე ძლიერი მაინც რომ არის, ფაქტია!**

კიდევ ერთხელ ვამბობ: **თვით ყველაზე ძლიერი მტრის წინაშეც ქედის მოდრეკა-მუხლზე დგომისკენ კი არ მოვუწოდებ ვინმეს, არამედ გარკვეულ ეტაპზე ჯეროვანი სიფრთხილისა და რაიმეს თქმამდე სათქმელის გონებაში მრავალგზის აწონ-დაწონისკენ.**

**ამჟამად, ჩემი ღრმა რწმენით, ასეა საჭირო, თორემ ნეტავი მართლა ისე გვქონდეს საქმე ფაქტობრივად აწყობილი, რომ და ქუდად არ მიგვაჩნდეს და დედამიწა — ქალამნად, როგორც ზოგიერთი ცდილობს ამის წარმოჩენას!**

**რუსლან რუსია**

◉ სამშენებლო სექტორი

## „ცენტრ-პოინტის“ კლიენტებს ეშველებათ!

**სამშენებლო სექტორი საქართველოში მრეწველობის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგია, თუმცა ბოლო წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ისიც საგრძნობლად დააზარალა.** გარდა ამისა, ცხადია, ამ სექტორის განვითარების შეფერხება სხვა ფაქტორებმაც განაპირობეს, თუმცა სამშენებლო კომპანიებისა და მათი კლიენტებისთვის ეს ბევრი ვერაფერი შეღავათია. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი დეველოპერული კომპანიები გამოსავლის ძებნაში არიან, ზოგი კოტრდება, ზოგის მფლობელი ქვეყნიდან გარბის, ზოგიც მოღვაწეობის გაგრძელების გარკვეულ გზებს აგნებს.



სწორედ ეს არის იმის მთავარი მიზეზი, რომ საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი „ცენტრ პოინტ ჯგუფი“ სამწლაინ მართვაში შევიდა საინვესტიციო და დეველოპერულ კომპანია „დექსუსში“, რომელმაც მისი ყველა პროექტი და ვალდებულებები გადაიბარა.

ამასთან დაკავშირებით 10 სექტემბერს სასტუმრო „რედისონში“ საინვესტიციო და დეველოპეროპერულ კომპანია „დექსუსსა“ და კომპანია „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ხელმძღვანელებმა ოფიციალურად მოაწერეს ხელი შესაბამის ხელშეკრულებას, რის შემდეგ ჟურნალისტების მრავალრიცხოვან შეკითხვებს უპასუხეს.

„ცენტრ პოინტ ჯგუფის“ კომპანია „დექსუსისას“ მართვაში გადასვლის თაობაზე ვრცელ მასალას ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ერთიანი პოზიცია

# 20 სექტემბერი დიდი პოლიტიკური პასუხისმგებლობის დღე იქნება

(მეორე გვერდიდან)

ევროპელი ექსპერტები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მიტინგებთან, მანიფესტაციებთან და სხვა საპროტესტო აქციებთან ერთად, **ამგვარი დოკუმენტის არსებობა, რომელშიც ორგანიზაციულად არის თავმოყრილი და სათანადოდ გაფორმებული ხელისუფლების შეცვლის საფუძვლები, ხალხის ნება და შესაბამისი გადაწყვეტილება, უთუოდ აუცილებელია; იგი საზოგადოებრივ პროტესტს შემატებს შინაგან ძალას, სოლიდურობასა და ღირსებას.**

ევროპელი ექსპერტები თვლიან, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი საქართველოში **განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ დიდი საერთაშორისო სიახლის ფონზე, რასაც „ხალხის სასამართლო“, ანუ „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ - წარმოადგენს და რომ მას სათავეში უდგას ევროპაში ცნობილი სამართლის დოქტორი, ბატონი მინდია უგრეხელიძე,** მით უფრო, რომ ხელისუფლების ინიციატივით ხდება ახალი კონსტიტუციის მიღება, ხოლო საქვეყნოდ ცნობილმა ადამიანებმა დაიწყეს სახალხო წარმომადგენლობითი კრების მოწვევის ორგანიზაცია, რომელსაც სასურველია შეუერთდეს ყველა პოლიტიკური პარტია.

უცხოელმა ექსპერტებმა მოგვცეს იმის რჩევაც, რომ **საქართველოს ჰყავს საერთაშორისო მასშტაბის კონსტიტუციონალისტი, იმპიჩმენტის უდიდესი მცოდნე - სამართლის დოქტორი ევა გოცირიძე,** რომელიც მოღვაწეობს სტრასბურგში და სასურველი იქნება კონსულტაციები და თანამშრომლობა მასთან.

7 სექტემბრის საორგანიზაციო ჯგუფმა - „თეთრების“, „კონსერვატორების“, „ეროვნულ ქალთა ალიანსის“ მონაწილეობით, ორგანიზაცია „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ლიდერის ეკა ბესელიას, „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ სასამართლოს სახალხო ბრალმდებლის გელა ნიკოლაიშვილის, ახალგაზრდული ორგანიზაცია „7 ნოემბერი“ ხელმძღვანელის ჯაბა ჯიშკარიანის, პარტია „გამარჯვებისათვის“ ლიდერის შალვა ხაჭაპურიძის მხარდაჭერით **მიიღეს გადაწყვეტილება, 20 სექტემბერს მოწვეული იქნას წარმომადგენლობით კონფერენცია ქართველ და ევროპელ ექსპერტთა მონაწილეობით ჩამოყალიბებული მთავარი დოკუმენტის და ევროპელ ექსპერტთა პოზიციის გამომხატველი წერილის განხილვის მიზნით.**

7 სექტემბრის გაფართოებულ სხდომაზე დამაჯერებლად ითქვა, რომ ამ დოკუმენტების განხილვის შემდგომ ყველა ჭეშმარიტად ოპოზიციური ძალა მხარს დაუჭერს რეფერენდუმის გზით საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის, ანუ პრეზიდენტისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცესის დაწყებას.

სხდომის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ წყალგამყოფი რეალურ და დანიშნულ ოპოზიციას შორის პრეზიდენტის იმპიჩმენტზე გადის.

ეკა ბესელია თვლის, რომ ხელისუფლების შეცვლის პროცესი დაიწყება პრეზიდენტისათვის იმპიჩმენტის გამოცხადებით.

თემურ შაშიაშვილს მიაჩნია, რომ: **„დღეს შიშის გამო ბევრს უჭირს იმპიჩმენტისათვის მხარდაჭერა. მაგრამ დრო დაადასტურებს, რომ სწორედ დღეს არის მისი მხარდაჭერა ვაჟკაცობაც და ქართული ცხოვრების წესიც“.**

საორგანიზაციო ჯგუფის 7 სექტემბრის შეხვედრამ გამოკვეთა თავისი პრინციპული პოზიცია „სახალხო წარმომადგენლობით კრებასთან“ დაკავშირებით. ითქვა, რომ ან უნდა ვაქციოთ იგი მნიშვნელოვან ნიშანსვეტად ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ან თუ ამ ეროვნულ პროცესს ცალკეული პოლიტიკოსები ხელს შეუშლიან, შეეცდებიან დაანაგვიანონ კრების მზადების პროცესი და ამით ხელისუფლების საქმე გააკეთონ - მაშინ მთავარი იქნება კრების იდეის გადარჩენა.

**გადაწყდა, მოეწყოს შეხვედრა „სახალხო წარმომადგენლობითი კრების“ საინიციატივო ჯგუფთან. ითქვა იმის თაობაზეც, რომ სასურველია მოეწყოს პოლიტიკურ ლიდერთა, საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრა კრების“ ოფისში.** მთავარია მოხდეს შეთანხმება იმაზე, რომ კრება არის საშუალება და სასამართლო პროცესი „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“, საარჩევნო გარემოს გაჯანსაღების პოლიტიკური პროგრამა, ვადამდელი არჩევნები, პრეზიდენტის იმპიჩმენტი განხილული იქნას ერთმანეთთან კავშირში.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა დაადასტურეს პატივისცემა ყველა პოლიტიკური პარტიისა და პოლიტიკური ლიდერისადმი, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი, საზოგადო მოღვაწეებისადმი და გამოთქვეს იმედი, რომ ამ კონფერენციის მუშაობაში ყველა მივიღებთ მონაწილეობას და, მიუხედავად განსხვავებული პოზიციებისა, ერთმანეთისადმი სიმპათიებისა თუ ანტიპათიებისა, სააკაშვილისა და მისი რეჟიმისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხში ვიქნებით ერთიანი პოზიციით. ამას 20 სექტემბერი დაადასტურებს.

**20 სექტემბერი მართლაც დიდი პოლიტიკური პასუხისმგებლობის დღედ შეიძლება იქცეს საქართველოსთვის.**

**პრეზიდენტის იმპიჩმენტის საორგანიზაციო ჯგუფის პრეს-სამსახური**
8 სექტემბერი, 2010 წელი.

**მისამართი:** 0178, თბილისი, ლამბაშიძის. ქ. №4. **ტელ:** 443 446; 8(90ძ 40 54 55; 899 27 40 53.
**ელ-ფოსტა:** tetrebigeorgia@gmail.com;
**ვებ-გვერდი:** www.tetrebi.org

განხილვა

**სახელმწიფო რწმუნებულებს – გუბერნატორებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი,** რაც დამატებით აძლიერებს მის პოზიციებს. გამომდინარე იქიდან, რომ გუბერნატორები ახორციელებენ არა პრემიერ-მინისტრის, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას, ამგვარი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კოლეგიური ორგანოს – მთავრობის მიერ უნდა იქნეს მიღებული.

სამწუხაროა, რომ **კონსტიტუციური კანონის პროექტი არ განსაზღვრავს გუბერნატორების ძირითად უფლებამოსილებებს.** დაუშვებელია, იმ თანამდებობის პირის უფლებამოსილებები, რომლებიც რეგიონებში, ფაქტობრივად, ქმედით დეკონცენტრირებულ მმართველობას ახორციელებენ, კონსტიტუციური რეგულირების მიღმა იყოს დარჩენილი. აქედან გამომდინარე, პროექტის მოცემული მუხლი სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს.

### 9. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური გარანტიები

– მისასალმებელია, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტში დამოუკიდებელი თავი ეთმობა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს. პროექტი განამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის მთელ რიგ ძირითად გარანტიებს. თუმცა, იმავდროულად, ყურადღება შეიძლება გავამახვილოთ აღნიშნული თავის რამდენიმე მნიშვნელოვან ხარვეზზე:

– პროექტი ადგენს, რომ **ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით.** რჩება შთაბეჭდილება, რომ თვითმმართველობის უფლება არის არა თავისთავადი უფლება, არამედ მოქალაქეები მას იძენენ მხოლოდ შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის დაფუძნების შემდეგ. თვითმმართველობის უფლების ამგვარი არასწორი აღქმის თავიდან ასაცილებლად, მოცემული ნორმიდან ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვები – **„თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული“;**

– პროექტის თანახმად, **თვითმმართველი ერთეული იქმნება, უქმდება და მისი საზღვრები იცვლება კანონით დადგენილი წესით.** ამგვარი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არა კანონით დადგენილი წესით, არამედ, უშუალოდ, კანონით უნდა მიიღებოდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი თვითმმართველი ერთეულები საქართველოში შექმნილია კანონით. იურისპრუდენციის ზოგადი პრინციპის თანახმად, კანონით მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ კანონით შეიძლება შეიცვალოს, რაც გვთავაზობს დამატებით არგუმენტს მოცემული ნორმის მოდიფიცირების მიზანშეწონილობის სასარგებლოდ;

– პროექტში აღნიშნულია, რომ **თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.** ჩანაწერი – „კანონმდებლობით დადგენილი წესით“ საქართველოს კონსტიტუციაში, ზოგადად, ყოველთვის ვიწრო გაგებით გამოიყენება და მასში იგულისხმება, რომ კანონით დადგენილი წესის გარეშე შესაბამისი უფლებამოსილება თუ ქმედება ვერ განხორციელდება. რაც შეეხება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს, ისინი შეიძლება განხორციელდეს როგორც კანონით დადგენილი წესის არსებობის შემთხვევაში, ისე ამგვარი წესის დადგენის გარეშეც. განსაკუთრებით ეს ეხება თვითმმართველი ერთეულის ე.წ. ნებაყოფლობით უფლებამოსილებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სიტყვები – **„კანონმდებლობით დადგენილი წესით“** უნდა შეიცვალოს ჩანაწერით – **„კანონმდებლობის შესაბამისად“;**

– ***კონსტიტუციიდან ორგანული კანონის ცნების ამოღების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია კონსტიტუციით განმტკიცდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის დამატებითი გარანტიები.*** განსაკუთრებით, ეს ეხება კონსტიტუციით თვითმმართველი ერთეულის ძირითადი უფლებამოსილებების განსაზღვრას: ისეთი უფლებამოსილებები, როგორიცაა ადგილობრივი ბიუჯეტის მიღება, თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვა, სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი დაგეგმვა და სხვ. თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებად უშუალოდ კონსტიტუციით უნდა გამოცხადდეს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამჟამად „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონთან წინააღმდეგობაშია 50-ზე მეტი დარგობრივი კანონი, კონსტიტუციიდან ორგანული კანონის ცნების ამოღება და აღნიშნულ კანონებს შორის იერარქიის მოშლა საქართველოს კანონმდებლობაში სერიოზულ ქაოსს შეიტანს. გარდა ამისა, მიზანშეწონილია კონსტიტუციით დამატებით დარეგულირდეს ადგილობრივი თვითმმართველობის სტატუსთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

– კონსტიტუციით უნდა დადგინდეს, რომ ***თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით;***

– კონსტიტუციით უნდა დარეგულირდეს ***თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები და წესი;***

სასურველია, კონსტიტუციით განისაზღვროს ***საკრებულოების უფლებამოსილების ვადა.***

### 10. ორგანული კანონის ცნების გაუქმება

***კონსტიტუციური კანონის პროექტი ითვალისწინებს ორგანული კანონის ცნების გაუქმებას.*** გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ორგანული კანონის რგოლის არსებობას დღემდე მხოლოდ პოზიტიური როლი აქვს შესრულებული, აღნიშნული ცვლილების საფუძველი და მიზანი სრულიად გაუგებარია. შეგახსენებთ, რომ მაღალ იერარქიულ სტატუსს ორგანული კანონები დღემდე არა ერთხელ დაუცავს თვითნებური და ნაჩქარევი ცვლილებებისგან.

კონსტიტუციური ნორმები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იცვლებოდეს. ზოგადად, კონსტიტუციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს ქვეყნის სამართლის სისტემის განვითარების ტენდენციის განსაზღვრა და მისი მდგრადობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მოფრთხილებას საჭიროებს ნებისმიერი კონსტიტუციური ნორმა, რომელიც აღნიშნული სისტემის განვითარებას დადებითი მიმართულებით წარმართავს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანული კანონის ცნების გაუქმება სამართლებრივ ლოგიკას არის მოკლებული.

თვითმმართველობის მაგალითზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის ნეგატიური შედეგი, რომელსაც ორგანული კანონის ცნების გაუქმება გამოიწვევს (იხ. ზემოთ). იგივე ითქმის ორგანული კანონით მოწესრიგებულ სხვა უმნიშვნელოვანეს სფეროებზე, რომლებიც განსაკუთრებულ სამართლებრივ დაცვას საჭიროებს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზეც, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტის თანახმად, ნებისმიერი კანონი პარლამენტის მიერ დამსწრეთა ხმების უმრავლესობით მიიღება. გაუმართლებელია, აღნიშნული ნორმა გავრცელდეს ამჟამად ორგანული კანონით მოწესრიგებულ ინსტიტუტებზე – არჩევნებზე, პოლიტიკურ პარტიებზე და სხვ. დამსწრეთა უმრავლესობით სახელმწიფო სიმბოლოების შეცვლის შესაძლებლობა, სულაც, ნონსენსად უნდა განვიხილოთ.

ბოლოს, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ მარტივ შეცდომაზე, რომელიც პროექტის გარდამავალ დებულებებში გვხვდება. პროექტის თანახმად, საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 1 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყოს „ორგანულ კანონთა გაუქმებასთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება“. გამოვთქვამთ იმედს, რომ აღნიშნული ნორმის ჩამოყალიბებისას პროექტის ავტორები არა ორგანულ კანონთა გაუქმებასთან, არამედ კონსტიტუციიდან ორგანული კანონის ცნების ამოღებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას გულისხმობდნენ. ასეთ შემთხვევაში, ავტორთა მოთხოვნა ნორმაში აშკარად არაადეკვატურად არის ასახული.

# კონსტიტუციური ცვლილებები

## კრიტიკული ანალიზი




### 11. კრიტიკული შენიშვნები კონსტიტუციური კანონის პროექტის სხვა ნორმებთან დაკავშირებით

ყურადღება უნდა გავამახვილოთ სხვადასხვა საკითხის მარეგულირებელ რამდენიმე პრობლემურ ნორმაზე:

***კონსტიტუციური კანონის პროექტი ითვალისწინებს კონსტიტუციის პრეამბულაში ცვლილებების შეტანას,*** რაც სრულიად ალოგიკურად გვესახება. პრეამბულაში ჩამოყალიბებულია ხალხის ნება, რომელიც 1995 წელს კონსტიტუციის მიღებას დაედო საფუძვლად. აღნიშნული ნების შინაარსის მოდიფიცირება კონსტიტუციის მიღებიდან 15 წლის შემდეგ ყოველგვარ რაციონალურ საფუძველს არის მოკლებული და როგორც იურიდიული, ისე ლოგიკური თვალსაზრისით, ნონსენსად უნდა შეფასდეს;

მართალია, ***კონსტიტუციის 21-ე მუხლში შევიდა გარკვეული პოზიტიური ცვლილებები,*** თუმცა, სამწუხაროდ არ დადგინდა, რომ საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ საბაზრო ღირებულების შესაბამისად განსაზღვრული კომპენსაციის პირობით;

პროექტის პირვანდელი ვარიანტის თანახმად, ***სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის დაკავება ეკრძალებოდათ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს. თუმცა, აღნიშნული ნორმის ცვლილების შემდეგ, ამგვარი შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ პრეზიდენტზე, პრემიერ-მინისტრზე და პარლამენტის თავმჯდომარეზე,*** რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს. აღნიშნული ჩამონათვალი უნდა გაფართოვდეს და ორმაგ მოქალაქეებს არ უნდა მიეცეთ მთავრობის წევრის თანამდებობის, აგრეთვე სხვა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობების დაკავების უფლება;

***ნეგატიური ცვლილება შეეხო კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტს.*** ცვლილების მიხედვით, პარლამენტში საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის დადგენილებით. ამგვარად, კონსტიტიუციური კანონის პროექტი ცდილობს, კონსტიტუციურ ჩარჩოში მოაქციოს ის ნეგატიური პრაქტიკა, რომელიც დღემდე პარლამენტის რეგლამენტით კონსტიტუციის დარღვევით იყო დამკვიდრებული;

***59-ე მუხლში შეტანილი ცვლილების თანახმად, პარლამენტის წევრს აღარ აქვს უფლება, კითხვით მიმართოს თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს,*** რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს პარლამენტის მონიტორინგის უფლებამოსილებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის დღეს მოქმედი ნორმა არ ეწინააღმდეგება თვითმმართველობის დამოუკიდებლობის პრინციპს და მისი შეცვლა თვითმმართველობის დაცვის აუცილებლობით ვერ იქნება ნაკარნახევი;

***პრეზიდენტის კომპეტენციების მარეგულირებელი ნორმები შეიცავს რამდენიმე არსებით წინააღმდეგობას პრეზიდენტის ახალ კონსტიტუციურ სტატუსთან:*** აძ გაუგებარია, რატომ უნდა წარმოთქვას ფიცის დადებამდე საპროგრამო სიტყვა ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, რომელიც აღმასრულებელი კომპეტენციებით არ არის აღჭურვილი *(იხ. 71-ე მუხლის პირველი პუნქტი)*; ბძ გაუმართლებელია, პრეზიდენტმა პარლამენტში წარადგინოს ყოველწლიური მოხსენება ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. პრეზიდენტი, როგორც ნეიტრალური არბიტრი, არ უნდა აფასებდეს ქვეყნის მდგომარეობას, რაც, თავისთავად, პირდაპირ უკავშირდება პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობის შეფასებას *(იხ. 73-ე მუხლის მე-5 პუნქტი)*; გძ დაუშვებელია არბიტრის ფუნქციებით აღჭურვილ პრეზიდენტს ეკავოს პარტიული თანამდებობა *(იხ. 72-ე მუხლი)*;

***პროექტი (73[1] მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის ცვლილება) შეიცავს მითითებას პრეზიდენტისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებზე.*** პრეზიდენტის ახალი, შესუსტებული სტატუსის გათვალისწინებით, სასურველია კონსტიტუცია არ შეიცავდეს ამგვარ ზოგად მინიშნებას. პრეზიდენტისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებები კონსტიტუციაში ამომწურავად უნდა იყოს ჩამოთვლილი;

კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად, ***კონსტიტუციით დგინდება დამატებითი საარჩევნო ცენზი პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის*** *(70-ე მუხლის მე-2 პუნქტი)*. კერძოდ, პრეზიდენტობის კანდიდატად კენჭი შეიძლება იყაროს მხოლოდ იმ პირმა, რომელიც არჩევნების დანიშვნის დღისთვის ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოში. გაუგებარია, რატომ არ უნდა მიენიჭოს საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლება იმ პირებს, რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში, მაგალითად, საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში საზღვარგარეთ მოღვაწეობდნენ. შეგახსენებთ, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი ერთმანეთისგან მკაფიოდ მიჯნავს „ცხოვრებისა“ და „საკონსულო აღრიცხვაზე დგომის“ ცნებებს, რაც ცხადყოფს, რომ პროექტის მოცემული ნორმა, სულ მცირე, ორმაგი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა;

პროექტის თანახმად, ***პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, პრეზიდენტი მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებამდე მთავრობის მოვალეობის შესრულებას აკისრებს მთავრობის წინა შემადგენლობას*** *(მე-80[1] მუხლის მე-2 პუნქტი)*. გაუგებარია, როგორ უნდა შეასრულოს მთავრობის მოვალეობა მთავრობის წინა შემადგენლობამ, თუ, მაგალითად, პრემიერ-მინისტრი გარდაიცვალა და მას არც ერთი მინისტრისთვის არ ჰქონდა დაკისრებული პირველი ვიცე-პრემიერის ან ვიცე-პრემიერის მოვალეობა. ბუნებრივია, მთავრობა მეთაურის – პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის გარეშე ვერ იფუნქციონირებს;

ყურადღება უნდა გავამახვილოთ კანონპროექტის კიდევ ერთ ხარვეზზე, რომელიც პრემიერ-მინისტრის სტატუსს უკავშირდება. საქართველოს კონსტიტუციის 76-ე მუხლის თანახმად, ***პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ახორციელებს პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო თუ პარლამენტის თავმჯდომარე ვერ ახორციელებს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს ან პარლამენტი დათხოვნილია – პრემიერ-მინისტრი.*** არაგონივრულია, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური 2 თვეზე მეტი დროით ჩამოშორდეს საკუთარი აღმასრულებელი კომპეტენციების განხორციელებას არბიტრის მოკრძალებული ფუნქციის მქონე პრეზიდენტის მოვალეობის შესასრულებლად. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეუთავსებელია კანონპროექტით შემოთავაზებულ მოდელთან;

რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა შეიძლება გამოითქვას საბიუჯეტო საკითხების მომწესრიგებელ ნორმებთან დაკავშირებით *(93-ე და 94-ე მუხლები)*: 1ძ კითხვებს ბადებს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც ***კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ.*** მთავრობის ამგვარი პრევენციული ვეტოს უფლება ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს. მიზანშეწონილია, კანონპროექტთან დაკავშირებით პრინციპული უთანხმოების არსებობის შემთხვევაში, მთავრობამ გამოიყენოს ალტერნატიული ბერკეტი და დოკუმენტს დაუკავშიროს ნდობის საკითხი *(იხ. ზემოთ)*; 2ძ ბუნდოვანია ჩანაწერი, რომლის თანახმადაც ***3 თვის განმავლობაში ბიუჯეტის არმიღების შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი ხარჯები დაიფარება წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით.***

**ირაკლი კობახიძე,**
**სამართლის დოქტორი (Dr. iur. – დიუსელდორფის უნივერსიტეტი, გერმანია)**
**სამართლის მაგისტრი (LL.M. – დიუსელდორფის უნივერსიტეტი, გერმანია)**
**თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 168-169.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მოსკოვი სამხრეთ ოსეთს წესრიგისკენ მოუწოდებს

**მოსკოვის ურთიერთობა თავის პროტეჟესთან, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტთან ედუარდ კოკოითთან ცუდ სახეს იღებს. ძლიერი მფარველები ბრალს სდებენ კოკოითს იმაში, რომ ის ხშირად თვალს ხუჭავს რუსეთის ფულის დატაცებაზე, რომელიც გამოყოფილია რესპუბლიკის აღდგენისთვის. 2 წლის განმავლობაში მოსკოვმა სამხრეთ ოსეთში გაგზავნა დაახლოებით 660 მილიონი ევრო, აქ კი მოსახლეობა შეადგენს სულ რაღაც 30 ათას კაცს. შედეგი – პრაქტიკულად ნულის ტოლია**

თავდაცვის, ეკონომიკური განვითარების, ფინანსთა მინისტრები და მთავრობის თავმჯდომარეც კი სამხრეთ ოსეთში გამოგზავნილი არიან მოსკოვიდან. ედუარდ კოკოითი მიიჩნევს, რომ მისი მფარველები მისგან ძალიან ბევრს მოითხოვენ, პირველ რიგში იგი უკმაყოფილოა მთავრობის თავმჯდომარით ვადიმ ბროვცევით.

„დამნაშავეობა ორმხრივია. მოსკოვს რომ ხელი არ შეეწყო მაქინაციებისთვის გასული წლის საპარლამენტო არჩევნებში, ამჟამად ჩვენ გვეყოლებოდა ნორმალური პარლამენტი, რომელიც სიტუაციას გააკონტროლებდა“, – სევდიანად აღნიშნავს ოსეთის ოპოზიციური პარტიის „სამშობლოს“ ლიდერი ვიაჩესლავ გობოზოვი. მოსკოვისთვის „სამხრეთ ოსეთში პოლიტიკური სტაბილიზაცია უფრო მეტად მნიშვნელოვანია ვიდრე მისი ხელმძღვანელების პოლიტიკური ბიოგრაფია“. „კოკოითს აქვს დიდი გავლენა ოსეთის სახელმწიფო აპარატზე და აკონტროლებს არჩევნებსაც. თუ მოსკოვი შეეცდება მის შეცვლას, დესტაბილიზაცია რეგიონში გარდაუვალი იქნება“, – აღნიშნავს პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტი ალექსეი მაკარკინი.



**პიერ ავრილი**

**LEFIGARO**

# სააკაშვილი ოკუპაციას ითხოვს

**ოფიციალურმა თბილისმა მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებს, თხოვნით „დააფიქსირონ საქართველოს ოკუპაცია სამართლებრივ დონეზე“. ამის შესახებ განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ამერიკელ კონგრესმენებთან შეხვედრის შემდეგ**

ხუთი კანონმდებელი ჩამოვიდა საქართველოში პრაქტიკულად ერთდროულად ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან ერთად. ეს უკანასკნელი არავის შეხვედრია ოფიციალურ პირთაგან და თითქმის უმალვე დატოვა ქვეყანა, გაემგზავრა დუბლინს. ორი რესპუბლიკელისთვის და სამი დემოკრატისთვის პროგრამა მეტად დატვირთული აღმოჩნდა – ისინი შეხვდნენ პრაქტიკულად ყველა ქართველ ხელმძღვანელს.



სხვათა შორის, ვიზიტი დაიწყო სამწუხარო ნოტით. კონგრესმენებმა გამოხატეს თანაგრძნობა ავღანეთში ქართველი ოფიცრის დაღუპვასთან დაკავშირებით.

– მე ჯორჯიას შტატიდან ვარ, და ბევრი ჩემი თანამემამულე დაიღუპა ავღანეთში. მაგრამ უნდა ვიამაყოთ იმით, რომ ვიბრძვით ტერორიზმის წინააღმდეგ ამ ქვეყანაში, – განუცხადა ჟურნალისტებს კონგრესმენმა ჯიმ მარშალმა.

დანარჩენში დღის წესრიგი სტანდარტული აღმოჩნდა. შეხვედრებზე განიხილავდნენ რეფორმების მიმდინარეობას, ცვლილებებს კონსტიტუციაში, უშიშროების საკითხებს, ოპერაციას ავღანეთში, საქართველოს ეკონომიკის პრობლემებს.

როგორც პროსამთავრობო ტელეარხები იტყობინებიან, სტუმრებმა კვლავ დაადასტურეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით აღნიშნეს მისი წვლილი სამშვიდობო ოპერაციებში, რომელიც ხორციელდება ნატოს ეგიდით, მათ შორის ავღანეთშიც. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ამტკიცებენ, რომ კონგრესმენები „აღფრთოვანებული არიან“ დემოკრატიული რეფორმებით საქართველოში.

სტუმრების აღფრთოვანების შენელებას შეეცადა ქართული ოპოზიცია. სხვათა შორის თავდაპირველად იტყობინებოდნენ, რომ ამერიკელები შეხვდებოდნენ მხოლოდ იმ პარტიების ლიდერებს, რომლებსაც ჰყავთ წარმომადგენლები პარლამენტში. ესე იგი ხელისუფლების ლოიალურ ოპოზიციას. მაგრამ მიხეილ სააკაშვილის რადიკალურმა მოწინააღმდეგეებმა გამოიჩინეს დაჟინება და მოახერხეს კონგრესმენებთან შეხვედრა.

ოპოზიციონერები ბევრ რამეზე ჩიოდნენ. პოლიტპატიმრების არსებობაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ზემოქმედებაზე ხელისუფლების მხრიდან, ადამიანის თავისუფლებებისა და უფლებების შეზღუდვაზე, კონსტიტუციის გადაწერაზე პრეზიდენტისა და მისი პარტიის ინტერესებისთვის.

რესპუბლიკელთა ლიდერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში ნატოს ეგიდით „არ უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თვალი დახუჭოს ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე.

**კირილ კოლოდინი**

**ИЗВЕСТИЯ**

# ქართველი ელჩები „მოსკოვს დისკომფორტს შეუქმნიან“

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თბილისი მზად არის, აწარმოოს მოლაპარაკება მოსკოვთან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. ამავე დროს მან ქართველ ელჩებს დაუფარავად მისცა დავალება, „შეუქმნან რუსეთს დისკომფორტი ყველა საერთაშორისო ფორუმსა და ღონისძიებაზე“**

„საქართველო მზად არის, ესაუბროს რუსეთს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ საკითხზე წინასწარი პირობების გარეშე“, – განაცხადა მინისტრმა ესტონელ კოლეგასთან ურმას პაეტთან ერთად გამართულ პრეს-კონფერენციაზე საქართველოს დედაქალაქში. ვაშაძის სიტყვებით, ორ ქვეყანას შორის „შეწყვეტილია როგორც დიპლომატიური, ისე კულტურული ურთიერთობანი, ხოლო ადამიანური ურთიერთობანი მინიმუმამდეა დაყვანილი“.

– ბოლოს და ბოლოს რუსეთს მოუწევს, მაინც გველაპარაკოს, შეწყვიტოს ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია და დაამყაროს ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობანი, – დარწმუნებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი.

რუსეთზე ზემოქმედების ერთ-ერთი ბერკეტი უნდა გახდეს „მაქსიმალური დისკომფორტი ყველა საერთაშორისო ფორუმსა და ღონისძიებაზე“. როგორც ირკვევა, სწორედ ასეთი დავალება მისცა მინისტრმა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელებს უცხოეთში. ამის შესახებ ჟურნალისტებს უამბო საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ევროსაბჭოში ზურაბ ჭიაბერაშვილმა. თუ როგორ უნდა შეიქმნას ეს დისკომფორტი, ჯერჯერობით უცნობია.

**ИЗВЕСТИЯ**

**კირილ კოლოდინი**

◎ გაეროს ასამბლეის გამოძახილი

# აკი „ულრუბლო და მეგობრული მეზობლობა“?!

**გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, ყველა გადაადგილებული პირის და მათი შთამომავალების თავიანთ სახლებში დაბრუნების უფლება აღიარა. სომხეთი ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანი იყო, რომელმაც მხარი არ დაუჭირა გაეროს გენერალური ასამბლეას ამ რეზოლუციას.**

სომხეთთან ერთად 15 სახელმწიფომ ქართული მხარის მიერ მომზადებულ რეზოლუციას კენჭისყრისას ხმა არ მისცა.

სომხეთისა და რუსეთის გარდა, რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს: მიანმა, ნაურუმ, ნიკარაგუამ, პაპუა ახალმა გვინეამ, კუბამ, ჩრდილოეთ კორეამ, სერბეთმა, სოლომონის კუნძულებმა, შრი-ლანკამ, სუდანმა, სირიამ, ლაოსმა, ვენესუელამ, ვიეტნამმა და ზიმბაბვემ. რეზოლუციას მხარი დაუჭირა 50 ქვეყანამ, ხოლო 86-მა თავი შეიკავა.

რეზოლუციაში გამოხატულია შეშფოთება საქართველოს კონფლიქტების შედეგად დემოგრაფიული სურათის ძალადობრივი შეცვლის გამო.

**„გენერალური ასამბლეა მხარს უჭერს დემოგრაფიული ვითარების შეცვლის დაუშვებლობას“,** – ჩაწერილია გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში.

აგრეთვე, აღნიშნულია კონფლიქტის შედეგად ყველა გადაადგილებული პირის ქონებრივი უფლების დაცვის აუცილებლობა, რომ კონფლიქტის რეგიონებში ქონების შეძენის მსურველებმა თავი უნდა შეიკავონ გადაადგილებულ პირთა ქონებრივი უფლებების დარღვევისგან.

რუსეთმა დიდი ბრძოლა გამოაცხადა, რათა გაეროს წევრ ქვეყნებს მიღებული რეზოლუციისთვის მხარი არ დაეჭირათ, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა.

**„მართლაც, ძალიან დიდი დიპლომატიური ბრძოლა გამართა რუსეთმა, იმ დონეზე, რომ პუტინმა მედვედევს ორ-ორჯერ დაარეკინა**



**რამდენიმე სახელმწიფოს ლიდერთან. ეს მართო მე რაც ვიცი და კიდევ ალბათ ბევრი არ ვიცი. მიდიოდა ხელების გადაგრეხვა, მიდიოდა პირდაპირი შანტაჟი სხვადასხვა ქვეყნის მიმართ, მოსყიდვის მცდელობაც იყო სხვადასხვა მექანიზმით...“**

ჩვენთვის უცნობია, დაარეკინა თუ არა პუტინმა მედვედევს ბატონ სერჟ სარგსიანთან და დააშანტაჟეს იგი თუ არა, მაგრამ თავისთავად ფაქტი შემაშფოთებელია. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში მყოფმა სომხეთის პრეზიდენტმა დიდი სიხარულით განაცხადა, რომ ისეთი **„ულრუბლო და მეგობრული მეზობლობა,“** როგორიც სომხეთსა და საქართველოს აქვთ, მეორე არ ვიციო.

მან, იმით აღფრთოვანებულმა, ზაფხულობით აჭარაში მრავალი სომეხი დამსვენებელი ჩამოდისო, კიდევ ერთხელ დაუდასტურა საქართველოს პრეზიდენტს კეთილგანწყობა და სიყვარული. თურმე, ბატონი სერჟის თქმით, **„მხოლოდ ერთმანეთის ტკივილის გაზიარებითა და გვერდში დგომით შეძლებენ საქართველო და სომხეთი პრობლემების გამკლავებას.“** მაგრამ ამჯერად სომხეთის პირველ პირს ეს სიტყვები რატომღაც დაავიწყდა, თუ დაავიწყებინეს?

ერთს დავძენ: ამ ნაბიჯით ჩვენი „კეთილი“ მეზობელი წინ აღუდგა ადამიანების არა მხოლოდ დაბრუნებას იმ სახლებში, სადაც დაიბადნენ, არამედ – ქონების, საკარმიდამოების, ბაღების – საკუთარი ქალაქებისა და სამშობლოს დაბრუნებას. მათ, რუსეთთან ერთად, თუ ჩვენი პრეზიდენტის სიტყვებს მოვიშველიებთ, ბოროტების მხარე დაიჭირეს.

როდესაც მთიანმა ყარაბაღმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა და მისი ლიდერი ბაკო საჰაკიანი საოკუპაციო რეჟიმის ლიდერის ბაღაფშის ე. წ. ინაუგურაციას დაესწრო, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, კერძოდ, გოკა გაბაშვილმა და ნიკა ლალიაშვილმა ეს ფაქტი სერიოზულად არ მიიჩნიეს – თავად არაღიარებული ყარაბაღის მესვეურის განცხადებას არანაირი ძალა არ აქვსო.

**ახლა რას გვეტყვით, ბატონო პარლამენტარებო, ზურგი რომ გვაქცია მეზობელმა სომხეთმა გაეროს დიდ ტრიბუნასთან? როგორ გგონიათ, ისინი გულში არ ეთანხმებიან ბაკო საჰაკიანის ნაბიჯს? როგორც ჩანს, ეთანხმებიან...**

ყველამ კარგად ვიცით, აფხაზეთის ომში როგორ გააფთრებით გვებრძოდნენ აფხაზეთელი სომხები.

ეტყობა, ჩვენი „ერთგული ძმები“ იზიარებენ „დიდი“ ბაღაფშის აზრს გაეროს ზემოხსენებული რეზოლუციის გამო: იგი ქართველ დევნილებს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ერთი სახელმწიფოს საზღვრებში, ერთი კუთხიდან მეორეში გადაადგილებულ პირებად მოიხსენიებს. ქართველები, რომლებმაც ომის დროს აფხაზეთი დატოვეს, არიან არა დევნილები, **არამედ რეპატრიანტები, რომლებიც თავიანთ ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდნენო.**

**„ვინაიდან აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ჩვენ საკითხს სხვაგვარად განვიხილავთ. ჩვენთვის ისინი დევნილები არიან და ასეთებადვე დარჩებიან. ამაზე ჩვენთან კონსულტაციები არავის გაუმართავს, და თუკი საქართველოსა და მის მხარდამჭერებს დევნილთა საკითხის გადაწყვეტა უჩვენოდ სურთ, ეს მათი პრობლემაა.**

**როგორი გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, ჩვენ მასთან არაფერი გვესაქმება,“** – განაცხადა ბაღაფშმა.

არაფერი ესაქმებათ ჩვენს ძვირფას მეზობელ სომხებსაც! საქართველო ღვთის შეწევნით კვლავაც იბრძოლებს უსამართლოდ დაკარგული მიწა-წყლის დასაბრუნებლად, ისტორიას კი შავ ლაქად შემორჩება ჩვენი კეთილი მეგობრების კიდევ ერთი მუხთლობა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

"მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლებისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლებისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გამანაწილებელ ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არჩეული, შეთანხმებული ფასით), მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს არჩეული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისათვის ცხრილი №1-ში მოცემულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| №№ | ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის დასახელება | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ) | ** მომხმარებელი ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | IV | V | VI |
| 1 | ს.ს. "ბოლნისგაზი" | ქ. ბოლნისი<br>მ. კოსტავას ქ. №48 | 895 700 333<br>bolnisigazi@mail.ru | საყოფაცხოვრებო: 3 000 000<br>არასაყოფაცხოვრებო: 700 000 | საყოფაცხოვრებო: 30.619<br>არასაყოფაცხოვრებო: 51.552 |

* - ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა იურიდიული პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** - შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა)

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№26, ტელ: +995 231 4 42 81, ფაქსი: +995 231 4 42 02

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

"მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლებისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლებისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გამანაწილებელ ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არჩეული, შეთანხმებული ფასით), მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს არჩეული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისათვის ცხრილი №1-ში მოცემულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| №№ | ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის დასახელება | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ) | ** მომხმარებელი ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | IV | V | VI |
| 1 | ს.ს."თეთრიწყაროგაზი" | ქ. თეთრიწყარო<br>ქ. წამებულის ქ.№4 | 895 700 333<br>tetrickarogazi@mail.ru | საყოფაცხოვრებო: 1 300 000<br>არასაყოფაცხოვრებო: 300 000 | საყოფაცხოვრებო: 30,619-33,077<br>არასაყოფაცხოვრებო: 54,264-59,094 |

* - თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა იურიდიული პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** - შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა)

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№26, ტელ: +995 231 4 42 81, ფაქსი: +995 231 4 42 02

**რეტრო**

## „განა მტკიცედ მოვალეობის აღსრულება ჩვენს დროში იშვიათ მოვლენას არ შეადგენს?"

**ამ ხუთი წლის წინათ ერთის ღარიბის სტუდენტისათვის გაიმართა წარმოდგენა ქ. თბილისში სცენის მოყვარულთა მიერ. ფული სულ შემოვიდა ხარჯს გარდა 236 მან. და გადაეცა დანიშნულებისამებრ ხსენებულ სტუდენტს, მ.ა. იაშვილს. დღეს ამ პირს უთხოვია წარმოდგენის გამართვის მოთავისთვის, ფული ისევ დაიბრუნეთ, რადგან მე საშუალება არ მაკლია ეხლა და პირობაც ასეთი მქონდა, რომ უნდა დამებრუნებინაო. მოთავეს წარმოდგენისას ქ.ე.ლ. ძისას, სამი სხვა მონაწილეს სურვილის თანახმად, ეს ფული მიღებისთანავე გაუგზავნია ხარკოვის უნივერსიტეტის ერთის ღარიბის სტუდენტისათვის ზ. ი. ე. შვილისათვის.**

სრული თანაგრძნობის ღირსია ეს ქცევა, თუმცა მხოლოდ მოვალეობის აღსრულებაა მის მხრივ, მაგრამ განა მტკიცედ მოვალეობის აღსრულება ჩვენს დროში იშვიათ მოვლენას არ შეადგენს?

ურიგო არ იქნებოდა, რომ ამგვარადვე კეთილშობილურად მოიქცეოდნენ ის პირნი, რომელთაც თავიანთ სტუდენტობის დროს ხელი გაუმართნიათ სხვა და სხვა გვარად საზოგადოებისაგან და დღეს კი არა თუ გაჭირვებულნი არ არიან, არამედ შეძლება და ქონებაც კი მოუხვეჭიათ და დიდს ჯამაგირს იღებენ ყოველწლივ.

„დროება"

**უნივერსიტეტი**

**ეს წერილი საქართველოს პარლამენტის უცნაური გადაწყვეტილების გამო დავწერე და უშუალოდ არა რომელიმე უნივერსიტეტის რექტორის საწინააღმდეგოდ. პარლამენტის იმ დადგენილებით, უნივერსიტეტის რექტორი შეიძლება იყოს რიგითი მოქალაქე, ყოველგვარი სამეცნიერო ხარისხის გარეშე. თუ დაუკვირდებით, მეტად აბსურდული კანონია მიღებული. წარმოუდგენელია, უნივერსიტეტის რექტორი არ იყოს აკადემიკოსი, პროფესორი მაინც. მაპატიეთ, მაგრამ საქართველოში ეს საპატიო და დაფასებული თანამდებობა მეწისქვილის დონემდე რატომ დაიყვანეთ?!**

საკვირველი ისიც არის, თუ როგორ მისცეს ხმა ასეთ წინადადებას დეპუტატებმა. ფაქტობრივად თავზე გვექცევა დიდი მამულიშვილების ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, ნიკო კეცხოველის, ილია ვეკუას და სხვათა დანატოვარი. დიდი ხანია უნივერსიტეტში აღარ ჩანან კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, შალვა ნუცუბიძის, გიორგი ახვლედიანის, ანდრია რაზმაძის, ნიკო მუსხელიშვილის, ვიქტორ კუპრაძის, ნიკო კეცხოველის, ივანე ბერიტაშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის დარი მეცნიერები.

**რექტორი მეწისქვილე ხომ არ არის!**

ვინც კი გამოჩნდა, და თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ ბევრი, საზღვარგარეთის უნივერსიტეტშია გადახვეწილები. რატომ? იმიტომ რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა დაკარგა თავისი მთავარი ფუნქცია და რიგითი სასწავლებლის დონეზე დავიდა. სიმართლეს თუ ვიტყვით, მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ, სამწუხაროდ, მშველელი არ ჩანს.

ცოტა ისტორიასაც გადავხედოთ. 1918 წლის იანვარში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რომ გაიხსნა, მის პირველ რექტორად უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია. 1919 წლის 12 ოქტომბერს პროფესორთა საბჭოს საგანგებო სხდომამ უნივერსიტეტის რექტორად ივანე ჯავახიშვილი აირჩია. სხდომას ესწრებოდნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ჩუბინაშვილი, სიმონ ავალიანი, აკაკი შანიძე, ანდრია ბენაშვილი, იასონ მოსეშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ანდრია დიდებულიძე, ალექსანდრე ნათიშვილი, ალექსანდრე ალადაშვილი, ვარლამ მოსეშვილი, ივანე თიკანაძე, ალექსანდრე მაჭავარიანი, სპირიდონ ვირსალაძე და სოლომონ ქურდიანი. დაუკვირდით, ვის ხელში ყოფილა მაშინ ქართველი ახალგაზრდობის განათლების საქმე და შეადარეთ ახლანდელს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობაში ბზარი მაშინ გაჩნდა, როდესაც კომუნისტებმა მის შიდა საქმიანობაში ჩარევა გადაწყვიტეს. 1926 წლის 21 ივნისს, ივანე ჯავახიშვილი რექტორობიდან ისე დაითხოვეს, სხდომაზეც კი არ დაასწრეს. ყველასათვის მოულოდნელად, უნივერსიტეტის რექტორად ვინმე თევდორე ღლონტი დანიშნეს. კომუნისტებმა ივანე ჯავახიშვილს ესეც არ აკმარეს და 1936 წლის მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში, მის წინააღმდეგ ისტორიის ფაკულტეტზე 10-დღიანი დისკუსია ისე ჩაატარეს, ივანე ჯავახიშვილი არც დაასწრეს. მთავარი ბრალმდებელი უნივერსიტეტის რექტორი კასიანე ორაგველიძე იყო, რომელიც შემდეგ 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. შემდეგ პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უძღვებოდნენ ისეთი სახელოვანი მეცნიერები, როგორებიც ბრძანდებოდნენ: ნიკო კეცხოველი, ვიქტორ კუპრაძე, გიორგი ძოწენიძე, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, დავით ჩხიკვიშვილი, ვაჟა ოკუჯავა, ნოდარ ამაღლობელი, როინ მეტრეველი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მისი დიდება და სახელი უნდა დაიბრუნოს.

**დურმიშხან ცინცაძე**

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

"მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| #ССЫЛКА! | შპს „ [illegible]"-ი | გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალა | 895 378 284 | საყოფაც. 3 000<br>არასაყოფაცხ. 500 000 | საყოფაცხ. 30,619<br>არასაყოფაცხ. 55,06 - 59,305 |

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).

– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქ.№26.. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

"მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | სს „[illegible]" | [illegible] | 04, 8 271 2 26 72, 890 55 70 60 | საყოფაცხ. 3 000 000<br>არასაყოფაცხ. 12 000 000 | საყოფაცხოვრებო 30,619<br>არასაყოფაცხოვრებო 48,39 - 63,5 |

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).

– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქ.№26.. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

## ინფორმაცია

### ახალი მინისტრიც გამოჩნდა



შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად სანდრო ურუშაძე დაინიშნა. ურუშაძე ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინსიტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის სხდომის დაწყების წინ წარუდგინა.

მისი თქმით, ჯანდაცვის ახალმა მინისტრმა უკვე მიიღო კონკრეტული დავალებები, კერძოდ კი ეს ეხება ჰოსპიტალური სექტორის განვითარებას.

„ახალ მინისტრს უკვე მივეცით კონკრეტული დავალებები. კერძოდ მან უნდა უზრუნველყოს 46 ახალი კლინიკის მშენებლობა რეგიონებში. ასევე გარკვეული ცვლილებები შევა სოციალურად დაუცველთა სიებშიც. ჩვენი მიზანია ჰოსპიტალური სექტორის განვითარება და ამ კუთხით დიღმის კლასტერის დასრულება, სადაც 14 საავადმყოფო და კლინიკა გადავა", – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, სანდრო ურუშაძე ჯანდაცვის სამინისტროში 6 წელია რაც მუშაობს. თავდაპირველად იგი ხელმძღვანელობდა სამინისტროს პოლიტიკურ დეპარტამენტს, შემდეგ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსად დაინიშნა, ხოლო რამდენიმე კვირის წინ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე გადაიყვანეს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ახალი მინისტრის სანდრო ურუშაძის განცხადებით, იგი მუშაობას სამინისტროს ძველ შემადგენლობასთან ერთად გააგრძელებს.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ჯანდაცვის ახალი მინისტრის თქმით, მისთვის პრიორიტეტად დარჩება სახელმწიფო დაზღვევის მქონე მოქალაქეების უფლებების დაცვა, ჰოსპიტალური სექტორის განვითარება და სიღარიბესთან ბრძოლა.

### შაშკინის საჩუქარი მასწავლებლებისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა რამდენიმე მასწავლებელს, რომელთაც წარმატებით გაიარეს სასერტიფიკატო გამოცდები სერტიფიკატები და პერსონალური კომპიუტერები გადასცა.

დიმიტრი შაშკინმა პედაგოგებს, როელთაც მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდები გაიარეს და ცოდნის მაღალი დონე აჩვენეს, მადლობა გადაუხადა და მომავალი წარმატებები უსურვა.

მინისტრთან მიღებაზე მოწვეულნი იყვნენ: ნათელა კირვალიძე თბილისის №156 საჯარო სკოლის რუსული ენის პედაგოგი, ზაზა მელიქიძე რუსთავის 26-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, ირმა ჯიშიაშვილი თბილისის 51-ე საჯარო სკოლის რუსული ენის პედაგოგი, ნინო ბერაძე თბილისის I საჯარო სკოლის ქართული ენის პედაგოგი და მაია თევდორაშვილი თბილისის 42-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

როგორც ცნობილია, სერტიფიცირებული მასწავლებლები ახალი სასწავლო წლიდან გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებენ, იმუშავებენ მენტორ მასწავლებლებად და შესაძლებლობა მიეცემათ სამინისტროს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამებში ჩაერთონ.

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## მოსკოვში აჭარელი „რემბო“ მოკლეს

მოსკოვში აჭარის შს მინისტრის ყოფილი მოადგილე 45 წლის ელგუჯა ჯინჭარაძე, მეტსახელად „რემბო“ მოკლეს. რუსული მედიის ინფორმაციით, მკვლელობა დაახლოებით ღამის 01:00 საათზე ტარას შევჩენკოს სახელობის სანაპიროზე, სასტუმრო „უკრაინის“ წინ მოხდა.

თვითმხილველთა თქმით, ჯინჭარაძე ქუჩაში ორ მამაკაცთან ერთად იმყოფებოდა, რომლებიც კავკასიელებს ჰგავდნენ. მათივე ინფორმაციით, მამაკაცების საუბრის დროს დავა წარმოიქმნა, რის შემდეგაც ჯინჭარაძის ერთ-ერთმა მხლებელმა იარაღი ამოიღო და მას ზურგში ესროლა. აჭარის შს მინისტრის ყოფილი მოადგილე სასწრაფო დახმარების მოსვლამდე გარდაიცვალა.

რუსული მედია ასევე იუწყება, რომ სამართალდამცავებმა ცხელ კვალზე იმ ავტომობილის პოვნა შეძლეს, რომლითაც ბოროტმოქმედები მიიმალნენ. თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს ტაქსი იყო, რომელმაც ორი მამაკაცი რუბლიოვსკის გზატკეცილთან ჩამოსვა.



ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფის ინფორმაციით, დედაქალაქში მოქმედებს გეგმა „პერეხვატი„ და საქმეში ჩართულია ვერტმფრენიც.

რუსული მედია ასევე აღნიშნავს, რომ ელგუჯა ჯინჭარაძის სახელი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი 2004 წელს ე.წ. აჭარის კრიზისის დროს გახდა, მაშინ როდესაც აჭარის მაშინდელი ლიდერი ასლან აბაშიძისა და მიხეილ სააკაშვილის დაპირისპირების პერიოდი იყო. იმ მომენტში ჯინჭარაძე თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადგა და თბილისში გაემგზავრა, ყოფილი თანამებრძოლის — ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად.

ბოლო დროს იგი მოსკოვის ოლქში დუბკიში ცხოვრობდა.

აღსანიშნავია, რომ ელგუჯა ჯინჭარაძე, ბიზნესმენ მამუკა ჯინჭარაძის ძმა იყო, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ასევე მოსკოვში მოკლეს.

## სეპარატისტები ინვესტორებს იზიდავენ

ოსი სეპარატისტები ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოსაზიდად აქტიური სამუშაოს გაშლისათვის ემზადებიან. სწორედ ამის გამო, სეპარატისტული სამხრეთ ოსეთი მონაწილეობას მიიღებს 17 სექტემბერს დაგეგმილ საინვესტიციო ფორუმში „სოჭი 2010“.

ოსური მედია აღნიშნავს, რომ „რესპუბლიკა ფორუმზე მხოლოდ ერთ მიმართულებას - ტურიზმს წარადგენს“.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში მოქმედი საწარმოს „მმართველობა ტურიზმის მიმართულებით - სამხრეთ ოსეთი“-ს ხელმძღვანელი ელეონორა ბედოევა აცხადებს, რომ მათ უკვე მზად აქვთ რამდენიმე საინვესტიციო წინადადება.

— „ჩვენ თან მიგვაქვს ტურისტული რესურსების სქემა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტურიზმის ინფრასტრუქტურა, რომელშიც ინვესტორები თანხის ჩადებას შეძლებენ“, — აცხადებს ბედოევა.

ჯი-ეიჩ-ენი

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ“ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამტკიცებული, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შეიცავს მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებსაც. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ქმნის თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გამგანაწილებელ ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებლისა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახლანდელი ქვითრის გამოწერის არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის საინტერესო მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მომხმარებელი ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებლის კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| #ССЫЛКА! | შ.პ.ს "გაზთიდი" | გარდაბნის რაი. სოფ. გარდაბანი | 877 525 025 | საყოფაც. 550 000<br>არასაყოფაც. 10 000 | საყოფაცხოვრებო: 30,619<br>არასაყოფაცხოვრებო 49,814 |

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ქმნის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.
** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გამგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).
– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი. ბერძენიშვილის ქ.№26. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

1. საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მომხმარებელი ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | [illegible] | [illegible] | 8 2 52 51 15, 599 155 510, [illegible] | საყოფაცხ. 5 500 000<br>არასაყოფაცხ. 3 500 000 | საყოფაცხოვრებო 30,590<br>არასაყოფაცხ. 56,84 - 61,43 |

* – [illegible]

** – [illegible]

– [illegible] 2005 წლის 30 დეკემბრის №30 [illegible]

[illegible] ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

1. საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | ** მომხმარებელი ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი. კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს „სამტრედიაგაზი“ | ქ. სამტრედია დ. აღმაშენებლის გამზ. № 463 ა | 04<br>8211 2 39 02 | საყოფაცხ. 3 500 000<br>არასაყოფაცხ. 2 500 000 | საყოფაცხოვრებო 30,619–33,755<br>არასაყოფაცხ. 54,942 |

* – [illegible]

** – [illegible]

– [illegible] 2005 წლის 30 დეკემბრის №30 [illegible]

[illegible] ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

## ◎ თვითნებობა

# ქალმა და მეზობლის სახლიდან გაასვენა

**კომუნისტების დროს ანეკდოტად დადიოდა: გურული ცკ-ს მდივნად დაინიშნა. დედას შეუთვალა, სანათესაო შეკრიბე და ყველა თბილისში გამოუშვი – დავასაქმებ, დავაბინავებო. ცკ-ის მდივნად დანიშნულმა კახელმა კი იმ დღესვე დედას შეუთვალა – ჩემს ძმას ოთარას უთხარი, ახლა ვუტირებ დედასო. სწორედ ასე მოუვიდა ახმეტის რაიონის სოფელ ხალაწნის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულ შოთა ანდალაშვილს.**

ანდალაშვილები ოჯახში რვა დედ-მამისშვილნი იყვნენ. ერთადერთი ძმა, ადრე გარდაეცვალათ. როგორც მეზობლები ამტკიცებენ, მამას დაქორწინებული ვაჟისთვის კარმიდამო გამოუყვია. წლების შემდეგ დედ-მამის სახლში მცხოვრებ ელენე ანდალაშვილსა და მის დას ძმისშვილები მამა-პაპისეულ სახლს შეედავნენ. ძმებმა მამიდები სახლიდან გამოყარეს და ყოველგვარ ქონებაზე ხელი დააბანინეს. საქმე სასამართლომდე მივიდა და ელენე სახლ-კარის კანონიერ მფლობელად სცნეს. ამის გამო სახლის მფლობელსა და მის დას სასტიკად სცემეს. ეს უკანასკნელი იმ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ ჯერ ლოგინად ჩავარდა, შემდეგ კი ფეხზე აუდგომლად ორიოდ თვეში გარდაიცვალა. იმის გამო, რომ მამიდებს სახლში არ უშვებდნენ, ელენე იძულებული გახდა გარდაცვლილი და მეზობლის სახლიდან გაესვენებინა. უსახლკაროდ დარჩენილი ღამეებს სამადლოდ ათევს ნათესავებთან მორიგეობით.

როდესაც საკუთარი სახლიდან განდევნილმა ადგილობრივ პოლიციას მიმართა, განყოფილების უფროსმა ზურაბ ფილაშვილმა ჯერ დახმარება აღუთქვა, შემდეგ მასხრად აგდება დაუწყო, ბოლოს კი უთხრა – თუ სიკვდილის არ გეშინია, შედი იმ სახლში და იცხოვრეო.

უფროსმა ძმისშვილმა შოთა ანდალაშვილმა მამიდას მეორეჯერაც უჩივლა სასამართლოში. ელენე ანდალაშვილის პრეზიდენტისა და შს მინისტრის სახელზე დაწერილი განცხადებით ირკვევა, რომ დაზარალებულის ადვოკატმა ლილი ჩოდრიშვილმა მას საბუთები უკან დაუბრუნა – არაფერი გამოვა, ამათ საქმე პრეზიდენტის დონეზე აქვთ ჩაწყობილიო. მართლაც ასე მოხდა – ახმეტელმა ჩინოსანმა საქმე მოიგო და პედაგოგი მამიდა ქუჩაში დატოვა.

ქვეყნის პირველი პირისადმი უსახლკაროდ დარჩენილის წერილში, ის ფაქტებიც არის აღწერილი თუ როგორ შეიცვალა ადგილობრივი სკოლის დირექტორმა ელენესადმი დამოკიდებულება. მასწავლებელს სკოლაში 21 საათი ჰქონდა. გაკვეთილების ჩამორთმევამდე ჯერ მაღალ კლასებში შესვლა აუკრძალეს, შემდგომ კი – საერთოდ სკოლაში მისვლაც. გამოძევებამდე ანდალაშვილს გაკვეთილების მსვლელობის დროს საკლასო ოთახში პოლიციელები უვარდებოდნენ. იყო მუქარები, განსაკუთრებით ოპერატიული თანამშრომელი ავთო არაბული აქტიურობდა... განმცხადებლის განმარტებით ამის მოწმეები მოსწავლეები არიან, რომლებიც სააკაშვილისადმი მიწერილ წერილში ყოველივეს ხელმოწერებით ადასტურებენ...

ზაზა ბილიხოძე.

# განცხადება

გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 54.1¹პუნქტის და სს „ელმავალმშენებლის“ წესდების 18.5 პუნქტის შესაბამისად სს „ელმავალმშენებლის“ 87 პროცენტი აქიათა მფლობელი კომპანია „LOKO TRANS HOLDINGS B.V.“-ის რწმუნებულმა ო.გ. ზირიანოვმა, განიხილა სს „ელმავალმშენებლის“ 2009 წლის საქმიანობის შედეგები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორის ზ. ცინცაძის ანგარიში სს „ელმავალმშენებლის“ 2009 წელს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.
2. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2009 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
3. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ერთობლივი წინადადება სს „ელმავალმშენებლის“ 2009 წლის წმინდა მოგება 4 458 626 (ოთხი მილიონ ოთხას ორმოცდათვრამეტი ათას ექვსას ოცდაექვსი) ლარი მთლიანად 100 პროცენტით გამოყენებული იქნას რეინვესტირებისთვის.
4. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების თანახმად, სს „ელმავალმშენებლის“ აუდიტორად 2010 წელს არჩეულ იქნას შ.პ.ს. „ქართული აუდიტორული კომპანია“ (საიდენტიფიკაციო კოდი 205 207 319, დარეგისტრირებული 2007 წლის 28 მაისს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ).

სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭო.

უთოფო ყაჩაღობა

# დანაპირები მორიგი ბლეფია

**რა დონის არჩევნებიც არ უნდა იყოს, ხელისუფლებას ერთ-ერთ უმთავრეს დაპირებად გამოაქვს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტია. არჩევნები ჩაივლის თუ არა, პირობა ყველას ავიწყდება. მორიგი უკანონო გამარჯვებამოპოვებული „ნაციონალები“ იწყებენ ბიზნესმენების მორიგ ოფიციალურ ტერორს, ძარცვა-გლეჯას – ბიუჯეტს ხომ შევსება სჭირდება! გარკვეულ დრომდე არ ეხებიან მათთან დაახლოებულ ან შეწირულობების ნებით გამცემ საქმოსნებს. ურჩებს, არგადამხდელებს – სჯიან.**

არჩევნები ჩატარდა და „ვარდ-ეკალოსნებმა“ გამარჯვება გაინაღდეს თუ არა, თელავის პოლიციას სასტუმროებისა და რესტორნების ქსელის მეპატრონე კოტე მახათელაშვილი დააკავებინეს. ექვმიტანილი იმ პერიოდში კახეთის რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატას ხელმძღვანელობდა. მასთან ერთად პატიმრობაში აიყვანეს კიდევ 6 პიროვნება. ყოველ მათგანს ბრალი ედება სამსახურებრივ სიყალბეში.

თითიდან გამოწოვილ ბრალდებას რომ ვერავითარი მამტკიცებელი ვერ მოუძებნეს, ცოტა ხნის წინათ კოტე გაანთავისუფლეს, ოღონდ გირაოს სახით პროკურატურამ 250 ათასი ლარი დაიტოვა.

თავისუფლებაზე გამოსული და მასთან ერთად დაკავებულნი ელოდებიან თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა წიკლაურის შვებულებიდან გამოსვლას.ამ საქმეს სწორედ იგი იხილავს. დასასვენებლად მყოფის თანაშემწის ვარაუდით საქმის განხილვა სექტემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებმა შესძლეს ინფორმაციის მოპოვება იმის თაობაზე, რომ პროკურატურა მახათელაშვილს, 500 ათასი ლარის გადახდის შემთხვევაში საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებს, ანუ თავისუფლებას საბოოლოდ მიჰყიდის.

როგორც ჩანს, „ვარდოსნებს“ ყოველი პიროვნებისთვის თავისუფლების მისანიჭებლად საკუთარი ნიხრები აქვთ.

ზაზა ბილიხოძე.

ინფორმაცია

## დააკავეს თურქი და ქართველი კრიმინალები

**კონსტიტუციური** უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერაციის შედეგად ბათუმში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს.

დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სოსო თოფურიძის განცხადებით, დაკავებულები არიან თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ჩეთინ აიდინი და საქართველოს მოქალაქე რუსლან ნაცარიშვილი, რომლებმაც საქართველოში ჩამოსულ უცხოელ ინვესტორებს დაშინებით და სიცოცხლის მოსპობის მუქარით გამოსძალეს 80 000 დოლარად ღირებული „ბენტლის“ მარკის ავტომანქანა და 600 000 დოლარის ქონება.

დანაშაული ითვალისწინებს 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

ხი-ეიჩ-ენი


# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ“ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შეიცავს მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახალი ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| №№ | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს "[illegible]" | [illegible] | 899 797 750, 899716 223 | არასაყოფაც. 500 470 | არასაყოფაცხოვრებო 52.534 |

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).

– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ნინოშვილის ქ.№26. ტელ: +995 231 4 42 81, ფაქსი: 995 231 4 42 02



# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ“ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შეიცავს მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახალი ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| №№ | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| NNNNN | სს „[illegible]“ | [illegible] № 11 | 8 210 23304, 877 105 615 | საყოფაც. 210 000<br>არასაყოფაც. 108 000 | საყოფაცხოვრებო 38.619 - 38.54<br>არასაყოფაცხოვრებო 58.29 - 60.83 |

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).

– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ნინოშვილის ქ.№26. ტელ: +995 231 4 42 81, ფაქსი: 995 231 4 42 02



# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

| ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ. მ) | მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე |
| ს.ს. „ლაგოდეხიგაზი“ | ლაგოდეხი, ნინოშვილის ქ. №48 | 8 77 10 57 35<br>8 77 10 57 84 | საყოფაც. 1 000 000<br>არასაყოფაც. 250 000 | საყოფაცხოვრებო 29.236<br>არასაყოფაცხოვრებო 67.8 |

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

"მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებით, განსაკუთრებული პირობების გარეშე. "ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

თქვენს(მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან(მომხმარებელს,სურვილის შემთხვევაში,შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გამანაწილებელ ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებლისა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს ის მომსახურე კომპანიასთან(მიმწოდებელთან) ურთიერთობა,რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს(ახლანდელი ქვითრის გამოწერის არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს.აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისათვის, ცხრილი №1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზების ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა *), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

ს.ს. "გორიგაზი" საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია:

ცხრილი №1

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის დასახელება | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. მობილ. ელ.ფოსტა | საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ) | ** მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | IV | V | VI |
| 1 | ს.ს. "გორიგაზი" | ქ.გორი თოდრიას 1 | 8-270-70032 | საყოფაცხოვრებო 12 500 000 | 0.43475 |
| 2 | | | gorigazi@gmail.com | არასაყოფაცხოვრებო 7 000 000 | 0.54237-0.63677 |

*- თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისათვის დადგენილი გატარების ტარიფი.

**- შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გამანაწილებელ ქსელამდე(განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარეშე).

- ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი, ჩუბინაშვილის ქ.№26, ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02.

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

"მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებით, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გამანაწილებელ ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებლისა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს ის მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახლანდელი ქვითრის გამოწერის არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისათვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს „[illegible]" | ქ. [illegible] ქ.№1; | 8(22)243621; | საყოფაცხ. 16 800 000<br>არასაყოფაცხ. 8 200 000 | საყოფაცხოვრებო 30,819 - 33,517<br>არასაყოფაცხოვრებო 47.450 - 47.933 |

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.
** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარეშე).
– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩუბინაშვილის ქ.№26. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი. კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს „დიდი დიღომი" | ქ. თბილისი დ. თავდადებულის № 22 | 53-34-36<br>899 499-044 | საყოფაცხ. 6 165 700<br>არასაყოფაცხ. 284 000 | საყოფაცხოვრებო 31, 669<br>არასაყოფაცხ. 52,5343 |

## მრუდე დემოკრატია

# წყალი არ გვაქვს და ხმაც არ ამოვიღოთ?

**ხელისუფლება დიდად ამაყობს, რომ კორუფცია თითქმის აღმოფხვრა, მის ნარჩენებს კვლავაც აქტიურად ებრძვის. გვაყვედრის ჩვენივე გადასახადებიდან აკრეფილი თანხებით გზების, წყალგაყვანილობების, ხიდების, სახელმწიფო დაწესებულების (ხშირ შემთხვევებში უგემოვნებო) მშენებლობებს. არ ავიწყდება იმის შეხსენება, რომ ცენტრსა და რეგიონებში სტრუქტურები პატიოსანი კადრებით ჰყავს დაკომპლექტებული. თუმცა ხშირ შემთხვევაში რეალობა „ნაცების" ბაქი-ბუქის საწინააღმდეგოა.**

რამდენიმე დღის წინათ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის მოსახლეობამ სასმელი წყლის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართა. შეკრების მონაწილეები ამტკიცებდნენ, რომ პრობლემის მოგვარებისთვის, როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხები რამდენიმეჯერ გამოიყო, მაგრამ არაფერი გაკეთებულა.

მოსახლეობის გამოსვლებმა, როგორც ჩანს, ადგილობრივი ხელისუფლება დააფრთხო. მართალია მიტინგი არ დაურბევიათ, არც დაშლა უცდიათ, სამაგიეროდ დაიწყო შეკრების ორგანიზატორების დევნა-შევიწროება. ერთ-ერთი ასეთი პირი — ოთარ მირიანაშვილი გურჯაანის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ბუნტოვშიკმა" განუცხადა, სამმართველოს შენობაში ის დიდხანს არ ჰყოლიათ. „სადღაც გადარეკეს, გადმორეკეს და უკვე სახლში ვარ — განუცხადა ცენტრის თანამშრომლებს ახსნა-განმარტების გარეშე თავისუფლებააღკვეთილმა. როგორც ირკვევა, მას პოლიციის შენობაში ახსნა-განმარტებებს უტარებდნენ, რომ მსგავსი საქციელის განმეორების შემთხვევაში მისიანების მიმართ მკაცრ ზომებს მიიღებდნენ.

სასმელი წყალი არ გვაქვს და ხმაც არ ამოვიღოთ? — კითხულობს მირიანაშვილი.

ნუთუ ჩვენს მოსახლეობას პროტესტის ელემენტარული, მშვიდობიანი ფორმებით გამოხატვის უფლებაც წაართვეს? — კითხულობს საზოგადოება.

ზაზა ბილიხოძე.

## ინფორმაცია

# ოზურგეთში მექრთამე ჩინოსანი დააკავეს

**კონსტიტუციური** უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერაციის შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე ოზურგეთის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი დააკავეს.

დაკავებულია მინდია დოლიძე, რომელმაც მეწარმეს მშენებლობის ნებართვის აღებაში ქრთამის სახით გამოსძალა 13 000 აშშ დოლარი.

დანაშაული 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სისხლის სამართლის საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს.

ХО-ЭОВ-ЭБО

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

1. საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია:

ცხრილი № 1

| № <br> № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | ** მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი. კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს „ვერსალი“ | სიღნაღის რ-ნი ს. ძვ. ბოდბე | 899 77 33 20 | საყოფაცხ. 350 000 | საყოფაცხოვრებო 30,619 |

* – [illegible]

** – [illegible]

– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

[illegible] ქ.№26. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

1. საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია:

ცხრილი № 1

| № <br> № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | ** მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი. კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | სს „სიღნაღგაზი“ | ქ. წნორი შ. ხიხაშვილის №86 | 825 544004 <br> 825 544004 <br> 890 903031 | საყოფაცხ. 2 500 000 <br> არასაყოფაცხ. 580 000 | საყოფაცხოვრებო 30,619 <br> არასაყოფაცხ. 56,519 |

* – [illegible]

** – [illegible]

– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

[illegible] ქ.№26. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

| № <br> № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ.ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ) | მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| #Ссылка! | ს.ს.„წყალტუბოგაზი“ | ქ. წყალტუბო 9 აპრილის№ 62 | 04 <br> 8 240 2 45 94 <br> 8 99 73 21 85 | საყოფაცხოვრებო 1 700 000 <br> არასაყოფაცხოვრებო 500 000 | საყოფაცხოვრებო 30,619 <br> არასაყოფაცხოვრებო 60,28 |

## ჯანმრთელობა

### სინთეტიკური ხორცის მოლოდინში

**დემოგრაფების ვარაუდით 2050 წლისთვის ჩვენი პლანეტის მოსახლეობა 9 მილიარდ კაცამდე გაიზრდება. რასაკვირველია, პრობლემური გახდება ამდენი ხალხის გამოკვების საქმე.**

ბრიტანეთის სამეფო საზოგადოებამ გამოაქვეყნა 21 მოხსენება სასურსათო რესურსების მომავალზე. ავტორები – სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერები, ასაბუთებენ, რომ ძალზე ცოტა დარჩა სოფლის მეურნეობისათვისვარგისი თავისუფალი მიწები, თუმცა უახლოესი 40 წლისთვის მსოფლიოს სასურსათო რესურსების 70 პროცენტით ზრდა რეალურიაო. სწავლულებს მიაჩნიათ, რომ სასათბურო გაზები ატმოსფეროში და სასუქ-ქიმიკატების ხარისხის გაუმჯობესება დაგვეხმარება რამდენჯერმე მოსავლიანობის გადიდებასა და წყლის ხარჯვის შემცირებაში. მათივე პროგნოზით, მოგვიწევს სინთეტიკური ხორცის წარმოების დაწყება, ხორცისა და რძის წარმოებაში გარდაიქმნება ხელოვნური ხორცის გამოყვანის მეთოდები და ნანოტექნოლოგია მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მკურნალობისთვის.

### დიაბეტს შეამცირებს

**მწვანე ბოსტნეულით მდიდარი დიეტა შეამცირებს დიაბეტის განვითარების რისკსო, – მიაჩნიათ ბრიტანელ სპეციალისტებს.** გააანალიზეს რა ექვსი გამოკვლევის შედეგები (220 ათასი ადამიანის მონაწილეობით ბოსტნეულისა და ხილის მოხმარებაში), ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებით გავლენას ახდენს მხოლოდ ის კერძები, რომლის შემადგენლობაში შედის ისპანახი, სატაცური, თავიანი და ყვავილოვანი კომბოსტო. ამ ბოსტნეულის ერთნახევარ ულუფას დღე-ღამეში შეუძლია 14 პროცენტით შაქრიანი დიაბეტის (ინსულინზე დამოუკიდებელი) რისკის შემცირება. ერთ ულუფად ბრიტანელი მეცნიერები მიიჩნევენ ამ პროდუქტის 80 გრამს. ამასთან ექსპერტები აღნიშნავენ, რომ არ ღირს მინიმუმით დაკმაყოფილება. უნდა ეცადოთ, ყოველდღე მიირთვათ ბოსტნეულისა და ხილის 5 ულუფა მაინც.

### დასცინეთ საკუთარ თავსაც

**ადამიანები, ვისაც გააჩნია იუმორის ჯანსაღი გრძნობა, გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ნორვეგიელი მეცნიერები. თანაც მათ მიაჩნიათ, რომ შეგიძლიათ არა მხოლოდ სხვებზე სიცილი, არამედ საკუთარი თავის დაცინვაც.**

ნორვეგიელი სპეციალისტები ამ დასკვნამდე მისვლამდე 7 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ 35 ათასამდე მეტ ადამიანს.

### მთავარი ფული როდია

**საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამერიკელები ევროპელებზე მდიდრები არიან, სამაგიეროდ მეტად ავადმყოფობენ და ნაკლებს ცოცხლობენ. რატომ? აშშ-ში მედიცინაზე ხარჯავენ ეროვნული შემოსავლის 15 პროცენტს, ორჯერ მეტს, ვიდრე ევროპული ქვეყნები, თუმცა შეძლებული 55-64 წლის ამერიკელი მოქალაქეები ორჯერ მეტად ავადდებიან ჰიპერტონიით, გულის პათოლოგიით, დიაბეტითა და კიბოთი, ვიდრე მათი ბრიტანელი თანატოლები.**

აქ მთავარი ცხოვრების წესია. ამერიკელთა საკვები სავსეა ცხიმებით, შაქრით, ქოლესტერინით. ამერიკელები სულ უფრო იშვიათად ამზადებენ საჭმელს შინ და ძირითადად იყენებენ სამრეწველო წარმოების კვების პროდუქტებს.

თუკი ამას დავამატებთ ევროპასთან შედარებით მოკლე შვებულებას, გაცილებით ხანგრძლივ სამუშაო კვირასა და სტრესებს, რაც დაკავშირებულია შრომის ინტესიურობასთან და მწვავე კონკურენტით გამოწვეულ გაურკვევლობასთან, გასაგები გახდება, რომ ამერიკელთა ცხოვრება ძალზე ტკბილი როდია.

ძიუდო

# ეს რა ჭირი გვჭირს?!

**თითქოს ატლანტის ოლიმპიადაზე ნაჭამი სირცხვილი არ გვეყოფოდა, ტოკიოშიც მოგვეჭრა თავი, ჭიდაობას ვილა ჩივის – მსოფლიოს დასაცინი გავხდით, ქართველების ფალავნები სასწორამდე და ტატამამდე ვერ მიჰყავთო.**



ამომავალი მზის ქვეყანაში ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები თითოეულ წონაში ორ-ორი სპორტსმენით ჩავიდა. ერთ-ერთი ფავორიტი, ცხადია, პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებული და 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე (100 კგძ გახლდათ. მან მართლაც კარგად დაიწყო ასპარეზობა – ჯერ უკრაინელ არტემ ბოშენკოს აჯობა, შემდეგ – უზბეკ რამზიდინ საიდოვს. მესამე წრეში კუბელ ორეიდის დესპანიეს უნდა დაპირისპირებოდა. „თავისუფლების კუნძულის“ წარმომადგენელი ამაოდ ელოდა ტატამზე ქართველ ფალავანს, რომელსაც სამჯერ უხმეს საჭიდაოდ, მაგრამ „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი“. ის იყო, რომ არბიტრებმა გამარჯვებულად ორეიდისი გამოაცხადეს, მანაც მდაბლად დაუკრა თავი დარბაზს და სარბიელის დატოვებას აპირებდა, ქართველთა შეძახილი რომ გაისმა – „დაუკარით, დაუკარითო“... სამწუხაროდ, არც ზურნა აჭყვიტინებულა და არც დოლი აბრაგუნებულა. მსაჯებმა გადაწყვეტილება არ შეცვალეს... ჩვენებურებმა თავი იმართლეს – ცირეკიძემ კიმონოს გამოცვლა ვერ მოასწრო, მხოლოდ ერთი წუთი დააგვიანდაო (ალბათ, გახსოვთ, 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე ქართველებმა დარბაზს ვერ მიაგნეს და ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი სასწორამდე ვერ მიიყვანესძ. კი მაგრამ, კუბელმა თუ მოასწრო კიმონოს გამოცვლა და დროულად ტატამზე ასვლა, ჩვენ რა ჭირი დაგვემართა? სად იყვნენ მწვრთნელები, სხვები?! ამ სირცხვილს აღარაფერი ეშველება, შავ ლაქად დარჩება ქართული სპორტის ისტორიაში და ყოველთვის საქილიკო ვიქნებით. ალბათ, ამან განაპირობა სპორტის მინისტრის ლადო ვარძელაშვილის მკაცრი განცხადება – „რაც უნდა იყოს, ჩვენი დელეგაციის თბილისში დაბრუნების შემდეგ ყველაფერს დეტალურად გავარკვევთ და დამნაშავეებს პასუხს მოვთხოვთ“.

ტოკიოს ტატამზე უკვე რვა ქართველმა ძიუდოისტმა მოსინჯა ძალები. ლომერ ქორქოლიანმა (100ძ, ადამ ოქრუაშვილმა (+100ძ, მინდია ბოდაველმა (90ძ, ლევან წიკლაურმა (81ძ და გიორგი შინჯიკაშვილმა (81ძ უსახელოდ დატოვეს სარბიელი. ლაშა გუჯეჯიანმა (+100ძ ორი ორთაბრძოლა კი მოიგო, მათ შორის პეკინის ოლიმპიადის პრიზიორ აბდულ ტანგრიევთან, მაგრამ მერე ორი შეხვედრა თავადაც დათმო და მაყურებლებში გადაინაცვლა. გუშინ მისი ბედი ვარლამ ლიპარტელიანმა (90ძ გაიზიარა.

**ლექსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# ბაზალეთზე ემზადებიან

**რუსულ სანტი-მანსიისკში 20 სექტემბერს სტარტს აიღებს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომლისთვისაც მონდომებით ემზადებიან საქართველოს ქალთა (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი, კაპიტანი – ნინო გურიელიძ და ვაჟთა (ბაადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, თამაზ გელაშვილი, ლევან ფანცულაია, კაპიტანი – თამაზ გიორგაძეძ ნაკრები გუნდები მწვრთნელების – ზურაბ სტურუას, ხვიჩა სუპიტაშვილის, თორნიკე სანიკიძისა და დავით არუთინიანის დახმარებით. ამჟამად ისინი ბოლო საწვრთნელ შეკრებას ბაზალეთის სპორტულ კომპლექსში გადიან, სადაც ნორმალური ვარჯიშისა და აქტიური დასვენებისათვის ყველა პირობა აქვთ.** ამ დღეებში ჩვენი დიდოსტატები საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ და პრესცენტრის ხელმძღვანელმა სოფიო ნიკოლაძემ მოინახულეს, თან კომპანია „სოკარის“ მიერ თურქეთში სპეციალურად ოლიმპიადისთვის შეძენილი ცივილური ფორმის ნიმუშები გააცნეს.



როგორც ნინო გურიელმა გვითხრა, საქართველოს ქალთა ნაკრები, იმის მიუხედავად, რომ წლეულს მის შემადგენლობაში ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე არ იასპარეზებს, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სანტი-მანსიისკში 2008 წელს დრეზდენის ოლიმპიადაზე მოპოვებული ვერა მენჩიკის თასი შეინარჩუნოს, ვაჟები კი საუკეთესო ათეულში მოსახვედრად იბრძოლებენ.

**ვაჟა დანელია,**

**სურათზე: ბაზალეთზე მორიგი ვარჯიშისას.**

**ავტორის ფოტო.**

კალათბურთი

# ლოცვა მაგარია

**სტამბოლში კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გადამწყვეტი ორთაბრძოლების ჯერი დადგა – კიდევ სამი პაექრობა და გამარჯვებულის ვინაობაც გვეცოდინება.** ამთავითვე ცხადია, რომ ეს არ იქნება შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული ესპანეთის ნაკრები, რომელსაც იმ შეჯიბრების ფინალისტმა სერბეთმა აჯობა – დუშან ივკოვიჩმა და მისმა შეგირდებმა ერთი წლის წინანდელი მარცხისთვის რევანში აიღეს – 92:89. მთელი მატჩი დაძაბულად წარიმართა. საფინალო სირენამდე 25 წამით ადრე ტაბლოზე ერთნაირი რიცხვები ენთო – 89:89. ბურთი ტეოდოშიჩს ჰქონდა, რომელმაც, ყველას გასაკვირად, 22 წამის განმავლობაში ატარა იგი და ბოლოს 9 მეტრიდან ისროლა. ნატყორცნი ზუსტად ჩაეშვა კალათში, როცა მატჩის დასასრულამდე 2 წამი რჩებოდა. ესპანელებმა საპასუხო შეტევის განხორციელება ვერ მოასწრეს და დამარცხდნენ.





თურქეთისა და სლოვენიის დაპირისპირებაში მასპინძლები აშკარად გამოირჩეოდნენ და მატჩის სასურველ შედეგამდე მიყვანა არც გასჭირვებიათ – 95:68 გაიმარჯვეს და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც სერბებს დაუპირისპირდებიან.

ტურნირის ფავორიტმა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა საკმაოდ მშვიდად მოუგო რუსეთის ნაკრებს, არადა, ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ეგონათ, მიუნხენის ოლიმპიადის, ანუ 1972 წლის 9 სექტემბრის ისტორია განმეორდებოდა. მაგრამ ეს არ მოხდა – ოკეანისგაღმელებმა 89:79 გაიმარჯვეს. რაც შეეხება ლიტვა-არგენტინის პაექრობას, ბალტიისპირელებმა მე-5 წუთიდან ხელთ იგდეს ინიციატივა და მესამე ათწუთიან მონაკვეთში უკვე 32-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს. საბოლოოდ, ლიტვამ 104:85 გაიმარჯვა და ოლიმპიური ჩემპიონი შინ გაისტუმრა.

მაშ, ასე, ნახევარფინალში ითამაშებენ: თურქეთი – სერბეთი, აშშ – ლიტვა.

**გივი გაგუა**

ჭიდაობა

# კოსტა მაისურაძის სახელობისა

**ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის პრეზიდენტ დიმიტრი დუნდუას ინიციატივით ონში მესამედ გაიმართა კოსტა მაისურაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, მკვლავჭიდსა და საჯილდაო ქვის აწევაში. გაგაცნობთ გამარჯვებულთა ვინაობას:**

**ქართული ჭიდაობა** – ლაშა კვირიკაშვილი (წყალტუბოძ, ზურაბ შერვაშიძე (ქუთაისიძ, ანრი ბიბილაშვილი (გორიძ, ლაშა გურული (ქუთაისიძ. აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გასულმა ონელ კობა კერესელიძეს სძლია და კოსტა მაისურაძის თასი დაისაკუთრა.

**მკვლავჭიდი** – ასლან გურჩიანი (წყალტუბოძ, თემურ გავაშელიშვილი (ონიძ, ლაშა გუმბერიძე (ქუთაისიძ, ვალერი გობეჯიშვილი (ონიძ.

**საჯილდაო ქვის აწევა** – 1. ვალერი გობეჯიშვილი, 2. გიგა გუბელიძე, 3. მიხეილ ქანანოვი (ყვარელიძ.

ინტერნეტიდან

## ჰომოსექსუალები აპროტესტებენ



**„ცისფერების“ ფეხბურთის ფედერაცია მოითხოვს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციიდან, დასაჯონ მოყვარულთა კლუბი, რომელმაც უარი უთხრა ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე მოთამაშეს, რადგან ის ჰომოსექსუალი იყო.** პარიზის ჰომოსექსუალების ასოციაციის აზრით, უნდა დაისაჯოს ფეხბურთის კლუბი „შუზი“, რათა ფეხბურთის სამყარომ გაიგოს, რომ ჰომოფობია ისევე მიუღებელია, როგორც რასიზმი და ანტისემიტიზმი.

იოანი ლემერი „შუზში“ 14 წელი თამაშობდა, მაგრამ ახლა უარი უთხრეს მასთან კონტრაქტის გაგრძელებაზე, რათა პრობლემები არ შეექმნათ მის თანაკლუბელებს, ზოგიერთი მათგანი თავს ნებას რომ აძლევდა ჰომოფობიურ გამონათქვამებზე საჯაროდ. მათ მხარი დაუჭირა საფრანგეთის ახალგაზრდული სპორტის მინისტრმა რამა იადემ.

## სნოუბორდინგი ყველაზე სახიფათოა

**ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადიდან ნახევარი წლის შემდეგ ბრიტანელმა სპორტის ექიმებმა შეადგინეს სპორტის ყველაზე მატრავმირებელი სახეობების სია.**

**2567 ათლეტიდან, ოლიმპიადაზე რომ ჩავიდა, ექიმებთან მოხვდა 287 კაცი. მათი მეოთხედი ისე სერიოზულად დაშავდა, რომ შეჯიბრებები ვეღარ გააგრძელა. ხოლო დაიღუპა ქართველი მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი, 185 კაცი კი გაცივდა.**

ყველაზე საშიშ სახეობად დაასახელეს სნოუბორდინგი, ქალთა შორის 22 მონაწილიდან 16 დაშავდა, ხოლო 35 კაციდან – 4. ყველა ოლიმპიური ტრავმიდან მესამედი მოდის ბობსლეიზე, შორტ-ტრეკზე,



სამთო თხილამურებზე, ჰოკეისა და ფრისტაილზე (აკრობატიკაძ.

ექიმებს ყველაზე ნაკლებად მიმართავდნენ ბიატლონის, სათხილამურო რბოლის და კერლინგის წარმომადგენლები. ექიმებმა ისიც დაადგინეს, რომ ოლიმპიადაზე უფრო ხშირად იყოს თავის, ხერხემლის, მუხლების ტრავმები. მათივე თქმით, ქალი სპორტსმენები უფრო ხშირად ღებულობდნენ ტრავმებს, ვიდრე მათი კოლეგა მამაკაცები.

ექიმები მოითხოვენ ზოგან წესების გამკაცრებას, აგრეთვე ათლეტების უსაფრთხოებაზე მეტ ჩაფიქრებას.

## სერენას იდეალური მამაკაცი

**მსოფლიო პირველი ჩოგანოსანი ქალი, ამერიკელი სერენა უილიამსი მალე მიაგნებს თავისი ოცნების მამაკაცს. ცნობილი გახდა, რომ მას თვალში მოუვიდა 23 წლის რეპერი დრეიკი.** Hew York Post-ის ცნობით, ჩოგბურთის დედოფალმა სთხოვა თავის აგენტებს, შეხვედრაზე მოელაპარაკონ მასზე 5 წლით ახალგაზრდა მომღერალს. ეს შეხვედრა ალბათ ამ თვის ბოლოს გაიმართება. როგორც ამბობენ, დრეიკი წინააღმდეგი არაა ასეთი შეხვედრა-გაცნობისა. „მე მიყვარს ჩემზე უფროსი ქალები, – უთქვამს მას, – ვაფასებ მათ სიმწიფესა და გამოცდილებას. მე მათგან ვსწავლობ, ცოდნასა და სიბრძნეს ვიძენ“. სერენამ კი ასე აღწერა იდეალური მამაკაცი: „ის უნდა ახლოს იყოს ჩემს მშობლებთან, უწინარე ყოვლისა, დედასთან და არ უნდა ეწეოდეს“.



აქცია

# რისთვის დააკავეს „არას“ ლიდერი

**საქართველოში დღითიდღე მატულობს პოლიტპატიმრების რიცხვი, ამის დასტურია ისიც, რომ გუშინ გამართულ აქციაზე, რომელიც უკანონო პატიმრების მხარდასაჭერად ჩატარდა, მოძრაობა „არა“-ს ლიდერი ლევან ჩიტაძე დააკავეს. დაკავების მიზეზი კი სალებავებით დაწერილი სიტყვა „თავისუფლება“ და პლაკატების გაკვრა აღმოჩნდა.**

ავლაბარში, პრეზიდენტის რეზიდენციასთან არასამთავრობო ორგანიზაცია „არა“-ს ორგანიზებით, პოლიტპატიმრების მხარდასაჭერი აქცია გაიმართა. აქციაზე, ასევე, მოვიდნენ პოლიტიკური პარტიები, ახალგაზრდული მოძრაობები და უკანონო პატიმრების ახლობლები.

მოძრაობა „არა“-ს განცხადებით, 2003 წლიდან მოყოლებული დღემდე, საქართველოში მრავალი უკანონო პატიმარი გაჩნდა. ხალხის დევნამ თავისუფალი სიტყვის, აზრის გამო, ისინი უკანონო და პოლიტპატიმრებად აქცია, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ეს რაოდენობა არ იკმარა და მათ რელიგიური პატიმრებიც დაემატნენ. რელიგიურ პატიმრებში, ცხადია, 2010 წლის 6 მაისს ტელეკომპანია „კავკასიის“ ღამის ეთერში განვითარებული მოვლენების შედეგად დაპატიმრებულები იგულისხმებიან. ლევან ჩაჩუას, შოთა აფხაიძის, რატი მაისურაძის, ავთო ზუმბაძის, გიორგი გაბედავას, ზვიად ბლიაძის, ჯაბა გურჩიანისა და დავით შალამბერიძის სასწრაფოდ გათავისუფლებას მოითხოვენ, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციები, ისე ახლობლები.

**ლევან ჩიტაძე: მოძრაობა „არა“-ს ლიდერი:** „დღეს ჩვენ პოლიტიკურად მხარს გვიჭერენ როგორც საზოგადოების, ასევე, სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხელისუფლებას მივეცით ულტიმატუმი, რომ დაწყებულიყო ამ პოლიტპატიმ-



რების გათავისუფლება, როგორც ხედავთ, ჩვენი ნათქვამი არაფრად ჩააგდეს, ამიტომ ბრძოლას ვიწყებთ. დღეს თუ აქციაზე 100 კაცი მოვა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თვის ბოლოს 3000 კაცი მოვიდეს. დღეს შემოგვიერთდებიან პატიმრების ოჯახის წევრები, ახლო ნათესავები და ადვოკატები. აქციის მონაწილეები ვითხოვთ დაიწყოს მიხეილ სააკაშვილის პირადი პატიმრების გათავისუფლების პროცესი: 61 პოლიტიკური, 350 უკანონო და 8 რელიგიური პატიმარი“.

აქციაზე, ასევე, იმყოფებოდნენ „რესპუბლიკური პარტიის“ ქარელის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარის, დაკავებული გიგა გოგიჩაიშვილის მშობლები. დაკავებულის მამამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მისი შვილი პოლიტიკური ნიშნით დააპატიმრეს, მისი თქმით, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, მათი ოჯახის კუთვნილი ოფისი ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა დაიქირავეს, ამ შენობაში კი ხუთი ოპოზიციური პარტია იმყოფებოდა. მათ ემუქრებოდნენ და აიძულებდნენ, რომ ეს პარტიები ოფისიდან გაეშვათ, თუმცა მათ მოთხოვნა არ შეასრულეს, რის შედეგადაც გიგა გოგიჩაიშვილი დააკავეს.

გიგა გოგიჩაიშვილი „რესპუბლიკური პარტიის“ ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარედ 2008 წლის 8 ნოემბერს აირჩიეს და 10 ნოემბერს დააკავეს. ბრალი კი მალაზიის ქურდობაში დასდეს.

„მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარის ლერი ლაფაჩის განცხადებით, ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ისინი უერთდებიან მოძრაობა „არა“-ს საპროტესტო აქციას და ვიდრე საქართველოში ერთი პოლიტპატიმარი მაინც იქნება, ამ აქციებს მუდმივად შეუერთდებიან, დღევანდელი დღეც ამის დასტურია – დასძინა ლაფაჩმა.

აქცია მშვიდად მიმდინარეობდა მანამ, სანამ ლევან ჩიტაძემ რეზიდენციასთან პოლიტპატიმრების სურათების და სლოგანის – „არა“ გაკვრა არ დაიწყო. წითელმა სალებავებმა პოლიციაც გააღიზიანა და აქციის მონაწილეები იერიშზე გადავიდნენ. პოლიციამ აქციის დაშლა სცადა, თუმცა ლიდერები შეკრებილებს მოუწოდებდნენ, პროვოკაციებს არ აჰყოლოდნენ. საბოლოოდ აქცია ჭიანჭველებივით შემოსეულმა პოლიციელებმა დაშალეს, ხოლო ორი ლიდერი: ლევან ჩიტაძე და ლევან კოჭილაშვილი დააპატიმრეს.

**ხატია მუსერიძე**

ინფორმაცია

## საწვავის ხარისხი სტანდარტებს შეესაბამება

**ზაფხულის პერიოდში ნავთობპროდუქტების სერტიფიკაციის ორგანო „მონიტორინგი“ მუდმივად ახორციელებდა კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ იმპორტირებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის წარმოებული ბენზინისა (რეგულარიძ და დიზელის (ლ-62ძ საწვავის რეგულარულ ხარისხობრივ შემოწმებასა და სერტიფიცირებას. გარდა ამისა, განხორციელდა უშუალოდ ავტოგასამართი სადგურებიდან საწვავის სინჯების აღება და მისი ხარისხობრივი შემოწმება.**

როგორც ცნობილია, ზაფხულის პერიოდში გაზრდილია საწვავის მოხმარება. შვებულებების პერიოდის გამო დაწყებულია აქტიური სამანქანო მოძრაობები მთელი საქართველოს მასშტაბით. შესაბამისად, სერტიფიკაციის ორგანო „მონიტორინგმა“ საწვავის სინჯები აიღო როგორც დედაქალაქში, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში. შემოწმებული საწვავის ხარისხი სრულად შეესაბამება სტანდარტს.

გარდა ამისა, შემოწმდა ისიც, თუ რამდენად ზუსტად ჩაისხა უშუალოდ ავტოგასამართ სადგურზე საწვავი. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ავტოგასამართ სადგურებზე საწვავი 100%-იანი სიზუსტით ჩაისხა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**მეუღლე მარინა ნემსიწვერიძე, დედა ნათელა ფუტკარაძე, მამა შოთა გამყრელიძე, შვილები ირინა და ირაკლი გამყრელიძეები, რძალი ლირა ხინტუბა, დები მარინა, ხათუნა ოჯახებით, შვილიშვილები გიორგი და ანასტასია, სიდედრი ლიკა მენთეშაშვილი იუწყებიან**



**აკაკი გამყრელიძის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 IX, 17 სთ. მის: ასათიანის 10 ა. დაკრძალვა 11 IX, 15 სთ. ამაღლების სახელობის ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაოს შესასვლელთანძ.**



**სს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სსიპ – ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი კონსულტანტი მეცნიერების დარგში, თსსუ ნარკოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი**

**აკაკი გამყრელიძე**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

**ნოდარ ემუხვარი ოჯახით დიდი მწუხარებით თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა და ბატონ შოთა გამყრელიძეებს შვილის, დიდებული პიროვნების, შესანიშნავი ექიმის, მეცნიერისა და ორგანიზატორის**

**აკაკი გამყრელიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**რეზო, რუსიკო, ციალა გაგუები, ლევან, ქეთინო ბაქანიძეები გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას უახლოესი ნათესავის**

**გიორგი გერგაიას**

**გარდაცვალების გამო და უთანაგრძნობენ მის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

წარდგენა



# ნინო დადიანი... საქართველოს დაუბრუნდა

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა ნინო დადიანის პორტრეტის წარდგენა, ნამუშევარი 6 თვის წინათ უცნობმა კალიფორნიელმა კოლექციონერმა ინტერნეტ აუქციონზე გამოიტანა. რამდენიმე დღეში საწყისი ფასი 10 000 აშშ დოლარიდან 1 000 000 დოლარამდე გაიზარდა.**

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ პორტეტი ავსტრალიაში მცხოვრებმა დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენელმა ვიქტორ დადიანმა შეიძინა და 7 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფოს გადასცა საჩუქრად. პორტრეტის წარდგენას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ დავით ცხადაძემ უმასპინძლა. ღონისძიებას სხვადასხვა მუზეუმის წარმომადგენლები, ხელოვნებათმცოდნეები და დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები დაესწრნენ. 14 სექტემბერს პორტრეტი ზუგდიდის დადიანების სასახლეების ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს გადაეცემა.

**ცნობისათვის:** ნინო ბატონიშვილი 1772 წლის 15 აპრილს დაიბადა, აღესრულა 1847 წლის 5 ოქტომბერს, სამშობლოდან შორს, პეტერბურგში. საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ასულს ბედმა მძიმე ხვედრი არგუნა. ის იყო მეუღლე ოდიშის იმ მმართველისა, რომლის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა საბედისწერო როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. ოდიშის მთავარმა გრიგოლმა ძალაუფლების განმტკიცებისა და მეზობელ მთავრებთან ბრძოლაში დახმარებისთვის რუსეთის იმპერიას მიმართა.

1800 წლიდან ნინო დადიანმა აქტიური ბრძოლა დაიწყო აფხაზეთის სამთავროს გათურქების წინააღმდეგ და ცდილობდა რეგიონი სამეგრელოს მთავრებისთვის დაემორჩილებინა. ამ პროცესმა რუსეთის ხელისუფლება გააღიზიანა, რის გამოც რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის უმაღლესი რესკრიპტით ნინო დადიანი 1804 წელს რუსეთში გადაასახლეს, სამეგრელოს სამთავრო კი რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა. მას სტატს-დამის სტატუსი ჰქონდა და წმინდა ეკატერინეს ორდენის კავალერი გახლდათ. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ვიქტორ დადიანი დადიანების შთამომავალია. 1812 წელს მისი წინაპრების გვარი დადინოვებად იცვლება. ამჟამად ცხოვრობს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. არის ავსტრალიის რაგბის კავშირის თავმჯდომარე, დადიანთა საგვარეულო სახლის საპატიო წევრი, იყო საქართველოს კონსული ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. გამოირჩევა ჩვენი ქვეყნისადმი განსაკუთრებული გულშემატკივრობით. ხშირად ატარებს საქველმოქმედო აქციებს ქართველების მხარდასაჭერად. მომავალ წელს დაგეგმილი აქვს საქართველოს კულტურის დღეები ავსტრალიაში.

კულტურის მინისტრის მოადგილე დავით ცხადაძემ მადლობა გადაუხადა ვიქტორ დადიანს ძვირფასი საჩუქრისათვის.



ვიქტორ დადიანმა კი განაცხადა, რომ ყოველთვის მზად არის საქართველოსთვის სასიკეთო საქმეში წვლილის შესატანად.

**თამარ შაიშმელაშვილი**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

## სულიერება

# პატიოსნისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისა — იოანეს თავისკვეთა



**11 სექტემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთას მარხვით აღნიშნავს.**

**იოანე ნათლისმცემელი უყვარდა ერს, მეფე ჰეროდეს კი ეშინოდა ერისა.**

იოანე წინასწარმეტყველი სასწაულებს არ სჩადიოდა, მაგრამ ორლესულივით სიტყვა ჰქონდა, მრავალი მოაქცია და ცოდვებზეც დააფიქრა ...

ჰეროდეს მეუღლემ ჰეროდეადამ მრავალგზის სთხოვა ქმარს იოანეს დასჯა, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია.

ქალი მარჯვე შემთხვევას ეძებდა წმინდანის მოსაკლავად. ეს დღეც დადგა. წვეულებაზე, შუაღამისას დარბაზში ჰეროდეს ასულმა იცეკვა. ცეკვით აღტაცებულმა ჰეროდემ სთხოვა, ერთხელ კიდევ ეცეკვა და სანაცვლოდ თხოვნას აუსრულებდა. ჰეროდეადამ ასწავლა ქალიშვილს: „იოანე ნათლისმცემლის თავი სთხოვეო". სათხოვარმა შეაწუხა ჰეროდე, მაგრამ ფიცის გატეხა ითაკილა და დათანხმდა. მან ბრძანა, თავი მოეკვეთათ წინამორბედისთვის და ჰეროდეასთვის ლანგრით მიერთმიათ.

მსახურებმა ბრძანება შეასრულეს...

ჰეროდეს ეზოსმოძღვრის ცოლმა იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავი ნელსაცხებლით გაწმინდა, სათუთად და სასოებით მოეპყრო...

განსაკუთრებული ზეიმით აღავლენენ წირვა-ლოცვას მღვდელმსახურნი ავჭალის ნათლისმცემლის სკიელოზის ტაძარში.

**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი

### 11 სექტემბერი

### დაიბადნენ:



ამოდის 05.37
ჩადის 18.18



ამოდის 09.15
ჩადის 19.36

**1700 — ჯეიმს ტომსონი,** შოტლანდიელი პოეტი.

**1798 — ფრანც ნიუმენი,** გერმანელი ფიზიკოსი.

**1862 — ო'ჰენრი (უილიამ სიდნი პორტერიძ,** ამერიკელი მწერალი.

**1862 — დავით კლდიაშვილი,** გამოჩენილი მწერალი-კლასიკოსი. გარდაიცვალა 1931 წელს.

**1877 — ჯეიმზ ჰოპვუდ ჯინსი,** ინგლისელი ასტრონომი და ფიზიკოსი, კოსმოგონიური ჰიპოთეზის ავტორი.

**1885 — დევიდ ლოურენსი,** ინგლისელი მწერალი.

### გარდაიცვალნენ:

**1971 — ნიკიტა ხრუშჩოვი,** სკკპ ცეკას ყოფილი პირველი მდივანი.

**1910 — ლუი ბუსენარი,** ფრანგი მწერალი.

**1939 — კონსტანტინ კოროვინი,** რუსი ფერმწერი.

### მოვლენები:

**1832** — პეტერბურგში სასახლის მოედანზე ნაპოლეონზე გამარჯვების ნიშნად ალექსანდრეს სვეტი აიგო. მისი სიმაღლე 47,5 მეტრია და 650 ტონას იწონის.

**1873** — პეტერბურგში ოდესის ქუჩაზე პირველად აინთო ელექტროფანრები, მანამდე გამოიყენებოდა ნავთის ლამპიონები.

**1933** — ლათინური ამერიკის ქვეყნებმა რიო დე-ჟანეიროში თავდაუსხმელობის პაქტს მოაწერეს ხელი.

**1971** — ეგვიპტემ კონსტიტუცია მიიღო.

**2001** — საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაციამ ალ-ყაიდამ ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში ტერორისტული აქტები განახორციელა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**უკრაინა** — 1932-1933 წლებში იძულებითი კოლექტივიზაციის შედეგად შიმშილით დაღუპულთა ხსოვნის დღე. დაიღუპა 8 მილიონი ადამიანი.

**ტუნისი** — ბედის საღამო.

**ეთიოპია** — ახალი წელი.

**ესპანეთი** — კატალონიის დღე.

**ჩილე** — ეროვნული თავისუფლების დღე.

**მედიანიუსი**

## დაიჯესტი

# გადღეგრძელებთ, კოლექციონერებო!

სტატისტიკა, როგორც მეცნიერება, მათემატიკისგან ან ქიმიისგან განსხვავებით, დიდი სიზუსტით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, თუმცა ბევრი ციფრი მასაც დაეჯერება. ჰოდა, სწორედ სტატისტიკოსები გვარწმუნებენ, რომ დედამიწაზე ყოველი მეხუთე კაცი რაღაცას მაინც აგროვებს, ეს კი, ბატონებო, დაახლოებით მილიარდნახევარი ადამიანია! (აქვე იმასაც აღვნიშნავთ დიდი ხალისით, რომ ამ მილიარდნახევარში ერთი ჩვენი კოლეგაცაა, მამუკა ვაშაკიძე, რომელიც ყველაფერს აგროვებს, თუმცა წიგნების გარდა სხვა პრიორიტეტი მაინცდამაინც არა აქვსძ. საინტერესოა ისიც, რომ კოლექციონერთა შორის მამაკაცები ჭარბობენ, რომლებსაც, არაკოლექციონერებთან შედარებით, საშუალოდ, უფრო მეტი შემოსავალი აქვთ (რასაც ჩვენს კოლეგაზე ნამდვილად ვერ ვიტყვითძ.

აღმოჩნდა, რომ კოლექციონერებს სხვებთან შედარებით სტრესები ნაკლებად ემართებათ (ჩვენი კოლეგა ამაშიც გამონაკლისიაძ, ხოლო მათი უმეტესობა 50 წელსაა გადაცილებული (კოლეგა ამ შემთხვევაშიც უმცირესობაშიაძ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კოლექციონერობის ყველაზე ძვირადღირებული სახეობაა ანტიკვარიატის შეგროვება (საამისოდ, პატივცემულ კოლეგას პატარა ბინაში ადგილი არ ჰყოფნის, არც ფული, ცხადიაძ, ხოლო რაც შეეხება აუქციონით გაყიდულ ყველაზე



ძვირად ღირებულ კერძო კოლექციას, იგი 207,4 მილიონ დოლარად გაიყიდა და ხელოვნების ნიმუშებისგან შედგებოდა.

დაბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, კოლექციონერები თავიანთ თანამოქალაქეებზე რამდენიმე წლით მეტ ხანს ცოცხლობენ, რასაც ჩვენს კოლეგას წინასწარ ვულოცავთ!

მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8419 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3654 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8360 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0012 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0459 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2923 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3322 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2230 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7075 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +19 — +35 |
| ქუთაისი. | +21 — +32 |
| ბათუმი. | +20 — +25 |
| ზუგდიდი. | +22 — +29 |
| თელავი. | +19 — +33 |

## დღეს და ხვალ

# ოპერის თეატრი გიწვევთ

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი დღეს და ხვალ — 11, 12 სექტემბერს 19 საათზე, ტრადიციულად გიწვევთ ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში (დავით აღმაშენებლის გამზ. №127ძ. თეატრის გუნდი, ორკესტრი და სოლისტები საკონცერტო ვერსიით წარმოადგენენ ჯუზეპე ვერდის „აიდას" (11 სექტემბერიძ და რუჯერო ლეონკავალოს „ჯამბაზებს" (12 სექტემბერიძ.

„აიდაში" დავით მუქერიას დირიჟორობით იმღერებენ — ირინე რატიანი, თეიმურაზ გუგუშვილი, ელენა პუტილოვა, ვანო გალუაშვილი, ლევან იმედაშვილი, ტარიელ ჭიჭინაძე, ნინო ჩაჩუა, თამაზ საგინაძე.

„ჯამბაზებში" მთავარ პარტიებს შეასრულებენ — ანზორ ხიდაშელი, მაყვალა ასპანიძე, სულხან გველესიანი, ვახტანგ ჯაშიაშვილი, თამაზ საგინაძე. ოპერას დირიჟორი რევაზ ტაკიძე წარუძღვება.

**საკუთარი ინფორმაცია**

## ანეკდოტები

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩვენი შვილისგან ბრწყინვალე პოლიტიკოსი დადგება, — ეუბნება ქმარი თავისი ცოლის ნათესავებს. — მისი ლაპარაკი მოსასმენად სასიამოვნო კი არის, მაგრამ შიგ აზრის ნატამალსაც ვერ აღმოაჩენ.

* * *

ხელისუფლება კარგა ხანია მიხვდა, რომ ყველაზე იოლია ფულის ღარიბებისგან აღება. მართალია, ღარიბებს ფული ცოტა აქვთ, მაგრამ, სამაგიეროდ, რამდენი ღარიბ-ღატაკია?!



* * *

წლევანდელი ზაფხული ისეთი ცხელი იყო, რომ ბალახი პირდაპირ თივის სახით გაიზარდა.

* * *

თქვენი იშვიათი ნიჭი ძალიან ძნელი აღმოსაჩენია!

* * *

სინამდვილეში სიონისტებსაც და ანტისემიტებსაც ბევრი რამ აქვთ საერთო. ერთსაც და მეორესაც სურს, რომ ებრაელები ისრაელში ცხოვრობდნენ.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.